სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 10 აგვისტო 2000 №152 (1174) | ფასი 50 თეთრი

გაიფანეთ!!!

ლოკომოტივი გოლს აპირებს, ვიტ ჯორჯიამ უნდა გაიტანოს

გუშინ ეროვნულზე: საქართველოს ვიცეჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ იერუსალიმის „ბეითართან“ სადღეისო მატჩამდე ბოლოჯერ ივარჯიშა

პეტერ სურინა ბრატისლავიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

თბილისის „ლოკომოტივი“, რომელიც დღეს შუაევროპული დროით 17 საათზე უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გამართავს სლოვაკეთის ოთხგზის ჩემპიონ „სლოვანთან“, ბრატისლავას საკმაოდ ოპტიმისტური განწყობით ეწვია.

თბილისელები სასტუმრო „ბრატსლავაში“ დაბინავდნენ და გუშინ „ტეჰელნე პოლეზე“, სადაც დღევანდელი მატჩია დანიშნული, დაახლოებით ერთი საათი ივარჯიშეს.

როგორც შევიტყვეთ, „ლოკომოტივს“ ტრავმირებული არავინ ჰყავს და მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილიც „სლოვანთან“ სათამაშოდ საუკეთესოებს აირჩევს.

ვარჯიშის შემდეგ „ლოკომოტივის“ ორ ფეხბურთელს, ვეტერან ნახევარმცველს, კახა გოგიჩაიშვილს და თავდამსხმელ სულიკო დავითაშვილს გავესაუბრეთ. მათი აზრით, „სლოვანი“ საკმაოდ კარგი გუნდია, თბილისელებს მეტოქის ერთი მატჩის ფირი უნახავთ. ისინი ბრატისლავაში მოსაგებად ჩამოვიდნენ, და თუ წავაგებთ, მხოლოდ მინიმალური ანგარიშითო, თქვეს, თანაც, გოლი უნდა გავიტანოთო.

ფეხბურთელებმა ისიც აღნიშნეს, თბილისში ძალიან ცხელოდა და აქ ზომიერი ტემპერატურაა.

ბრატისლავაში გუშინ საკმაოდ გრილოდა, დაახლოებით 20-25 გრადუსი იყო.

„სლოვანზე“ კი რა ითქმის. სლოვაკეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში სტუმრად 3:0 რომ გაიმარჯვა, ახლა, „ლოკომოტივთანაც“ დიდი ანგარიშით მოგების იმედი აქვს.

მწვრთნელი სტანისლავ იარაბეკიც სადღეისოდ ალბათ უძლიერეს შემადგენლობას ათამაშებს.

ტორპედოს მძლეველი დინამოს გაუძალიანდა

უკალაძეოდ მოთამაშე კიევის „დინამომ“ ქუთაისის „ტორპედოს“ მჯობნ იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდას“ შინ ვერაფერი მოუხერხა და წყვილის ფავორიტის სახელი ჯერჯერობით სახელადვე დარჩა.

შვედურმა „ჰელსინგბორგმა“ კი წუხელ სენსაცია გამოაცხო: შინ იტალიურ „ინტერს“ მოუგო და ვინ იცის, ეგებ ლიგასაც გამოჰკრას ხელი.

შოტლანდიურმა „რეინჯერსმა“ სტუმრად დანიის ჩემპიონი „ჰერფიოლგე“ გაანადგურა და ამ ეტაპზე მონაწილეთაგან, ალბათ, ერთადერთია, ვისაც შეუძლია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირისთვის მშვიდად მოემზადოს.

REUTERS კიევიდან

დინამო — ცრვენა ზვეზდა 0:0. კიეველთა ქართველი ლეგიონერი გიორგი დემეტრაძე და მარიან მარკოვიჩი

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 9 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

დინამო (კიევი, უკრაინა) 0:0 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)

ჰერფიოლგე (დანია) 0:3 რეინჯერსი (შოტლანდია)
0:1 ალბერტი (28), 0:2 უოლესი (31), 0:3 ლ. ამორუზო (59)

ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1:0 ინტერი (იტალია)
1:0 ჰანსონი (82)

შახტარი (უკრაინა) 0:1 სლავია (ჩეხეთი)
0:1 ტ. დოშეკი (87)

ანდერლეხტი (ბელგია) 1:0 პორტუ (პორტუგალია)
1:0 კოლერი (37)

პოლონია (პოლონეთი) 2:2 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
0:1 ვარეიხა (9), 0:2 ფისასი (38), 1:2 კიელბოვიჩი (45), 2:2 კალიეანი (68)

დუნაფერი (უნგრეთი) 2:2 რუსენბორგი (ნორვეგია)
0:1 ფ. იონსენი (52), 1:1 ლენგიელი (80), 1:2 კნუდსენი (87), 2:2 ტოკოლი (88)

ტიროლი (ავსტრია) 0:0 ვალენსია (ესპანეთი)

ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) 2:1 მიუნხენ 1860 (გერმანია)
1:0 სმიტი (40), 2:0 ჰარტი (71პ), 2:1 აგოსტინო (90)
გაძევება: ლიდსი: დაკურტი (75), ბაკე (84); მიუნხენი: ზელიჩი (41)

სენტ გალენი (შვეიცარია) 1:2 გალათასარაი (თურქეთი)
1:0 ამოა (14), 1:1, 1:2 ჟარდელი (39, 78)

მილანი (იტალია) 3:1 დინამო (ზაგრები, ხორვატია)
0:1 ფილიპოვიჩი (20), 1:1, 2:1 შევჩენკო (22, 60), 3:1 კომანდინი (90)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვიტ ჯორჯიამ“ ბოლო წვრთნას საათი და თხუთმეტი წუთი მოანდომა. ვეტერინარებმა ხალისიანად და მონდომებით ივარჯიშეს.

ტრიბუნაზე კი „ბეითარის“ ერთ-ერთი მწვრთნელი, ფელიქს ნაიმი იჯდა და მალიმალ სიგარეტს ეწეოდა. ხელში არც ავტოკალამი სჭერია და არც ბლოკნოტი. ხანდახან გვერდით მჯდომ ებრაელ ჟურნალისტს რაღაცას გადაულაპარაკებდა, მერე უარყოფის ნიშნად თავს გააქან-გამოაქანებდა და ისევ სიგარეტს მოიმარჯვებდა.

ნაიმი მაშინ წავიდა, როცა „ეროვნულის“ მბჟუტავმა განათებამ ქრობა იწყო და „ვიტ ჯორჯიამაც“ წვრთნა დაასრულა. დღეს გამოჩნდება, შეძლო თუ არა ნაიმმა ვეტერინართა ბოლომდე გაშიფვრა, იგი ხომ თითქმის მთელი თვეა, ჩვენებურების ყველა ნაბიჯს აკონტროლებს.

არც ის გახლავთ ცნობილი, რა მოუმზადეს „ბეითარს“ სერგო კოტრიკაძემ, ვლადიმერ ხაჩიძემ და ვეფხია გვენცაძემ. ერთი კი ცხადია, გუშინდელ ვარჯიშზე მწვრთნელებმა ფეხბურთელები ერთმანეთში ისე ათქვიფეს და მინდორზე ისეთი გოგლიმოგლი შეამზადეს, რომ მგონი თავადაც აერიათ, ვინ ძირითადის მოთამაშე იყო და ვინ — სათადარიგო.

ალბათ, ფელიქს ნაიმიც ამად აჭნევდა თავს. მართალია, მან თავისი საქმე ჩინებულად იცის, მაგრამ სტადიონიდან წასასვლელად გამზადებული შეფიქრიანებული ჩანდა.

„ვიტ ჯორჯია“ რაღაცას მალავს. ადრე ვეტერინართა თავკაცობის ყველა ჩანაფიქრი ჩვენთვის ნაცნობი იყო. შემადგენლობასაც წინა დღეს გამოაცხადებდნენ-ხოლმე, მაგრამ უეფას თასი ეროვნული ჩემპიონატი არ არის და ისინიც ზედმეტ სიფრთხილეს იჩენენ.

ხელმძღვანელთა გარდა თითქმის არავინ იცის, ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში. ყველა ფეხბურთელი მზადყოფნაშია. სერგო ჭურაძემ მტკივანი მუხლი მოიშუშა და უკვე რამდენიმე დღეა, მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. სრულიად ჯანმრთელია მარჯვენა მცველი ედიკ საჯაია, რომელსაც კოჭი აწუხებდა, სხვებს, ღვთის მადლით, არაფერი უჭირთ.

გუშინ ვეტერინარებმა თითქმის ყველანაირი წვრთნა გაიარეს. მინდორს ჯერ რამდენჯერმე შემოურბინეს, გაწელვითი ვარჯიშებიც არ დავიწყებიათ, სისწრაფეც შეიმოწმეს, ბურთის ჯგუფურ არომევაზეც გვარიანი ოფლი იდინეს, რაღაც კომბინაციებიც დაამუშავეს და კარშიც ბლომად უბაგუნეს.

მეკარეები — მირზა მერლანი და სერგო ჭურაძე მანამდე ვეფხია გვენცაძემ აწვალა. ერთხანს მცველებმა ცალკე ივარჯიშეს და წინა ხაზის მოთამაშეებმა — ერთად.

ბოლოს ყველაფერი ერთიანად დასრულდა, ფეხბურთელებმა ბუცები მოედანზევე გაიძვრეს, ფლოსტები ჩაიცვეს და გუნდის ავტობუსიც ამუშავდა. ვეტერინარები დინჯად ტოვებდნენ „ეროვნულის“ სარბელს, გზად რამდენიმეს მატჩისწინა კომენტარი ვთხოვეთ.

გიორგი ყიფიანი: „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი ყველაფერს დიდი სერიოზულობით ეკიდება. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა...

— როგორ ხასიათზეა „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი პრინციპული მატჩის წინ?

— რა გითხრათ, განწყობა საბრძოლოა და არც უხასიათობას ვუჩივი. „ბეითარი“ ერთი შეხედვით ორგანიზებული და ტექნიკური გუნდი ჩანს, მაგრამ ჩვენც ჩვენი კოზირები გვაქვს.

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი.
10 აგვისტო. 20 საათი. თბილისი. „ეროვნული“. ტევადობა 70 900

ვიტ ჯორჯია — ბეითარი

დამალობანა გუშინ იყო. დღეს ბრძოლა იქნება!

„ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი სერგო კოტრიკაძე ვეტერინარებს მატჩისწინა ბოლო ვარჯიშზე დარიგებებს აძლევს

ბადრი ძიძილაძის ფოტო

გიორგი ქორიძე: ვეტერინართა სწრაფი თავდამსხმელი გასახდელისკენ მხნედ მიაბიჯებდა, დაღლილობაც არ ეტყობოდა.

— „ბეითარს“ ფაქტობრივად არ ვიცნობ, მაგრამ თამაში დაძაბული რომ იქნება, ცხადია. ისე, ჩვენ სიძნელეებს ჩვეულნი ვართ, ეს პირველი ხომ არ არის. დანარჩენს თავად თამაში გვიჩვენებს. ჩემი აზრით, შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა სწორედ აქ, თბილისში გაირკვევა.

დავით დოლიძე: ვეტერინართა მარცხენა ნახევარმცველი კი სხვაგვარად ფიქრობს.

— საბოლოოდ ყველაფერი, ალბათ, საპასუხო მატჩში გაირკვევა. აქ ჯერ-ჯერობით, ჩვენი კოზირები გამოვიყენეთ და მოვიგოთ. ყოველ შემთხვევაში, ის თერთმეტი ფეხბურთელი, ვინც მინდორზე გავა, თავს არ დაზოგავს, ბოლომდე იბრძოლებს.

მამუკა ძმანტალიანი

ედიკ საჯაია: მისთვის სულ ერთია მოწინააღმდეგედ ვინ ეყოლება. მუდამ იმას ცდილობს, მეტოქეს თავს თავისი თამაში მოახვიოს.

— ვცდილობ, მხოლოდ კარგზე ვიფიქრო. მეტოქე ათლეტური და ტექნიკურია, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. დღეს თითქმის ყველას შეჩერება შეიძლება. მთავარია, არ შეშინდე და ძალიან მოინდომო.

გიორგი დეკანოსიძე: რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, დაძაბულობა და შიში არც „ვიტ ჯორჯიას“ ახალწვეულ დეკანოსიძეს ეტყობა. საერთაშორისო მატჩების გამოცდილება ზოგიერთებივით მასაც აქვს. გუშინ ივი მორიდებული იყო.

— მეტოქე გაცილებით გამოცდილია, თუმც თავდაუზოგავ ბრძოლას გავუმართავთ და...

ლევან მელქაძე: გუნდის ფორვარდს არცთუ სახარბიელო სეზონის შემდეგ აშკარად უკეთესობა ეტყობა. გუშინდელ ვარჯიშზე მეტად ენერგიული იყო.

— ერთობ ანგარიშგასაწევი მეტოქე გვყავს, მეტად ორგანიზებული და ტექნიკური, მაგრამ ვფიქრობ, არც უძლეველები არიან. რატომღაც მგონია, რომ „ბეითარის“ კარს გასაღებს მოვარგებთ.

— „ბეითარს“ ფაქტობრივად არ ვიცნობ, მაგრამ თამაში დაძაბული რომ იქნება, ცხადია. ისე, ჩვენ სიძნელეებს ჩვეულნი ვართ, ეს პირველი ხომ არ არის. დანარჩენს თავად თამაში გვიჩვენებს. ჩემი აზრით, შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა სწორედ აქ, თბილისში გაირკვევა.

— ბრძოლა ბრძოლაა, ბრძოლა ბრძოლაა, ბრძოლა ბრძოლაა...

უნდა გავიტანოთ

„ვიტ ჯორჯიას“ სადღეისო მეტოქე იერუსალიმის „ბეითარი“ გუშინდელი დილის მოთელვის შემდეგ „შერატონში“ ჩაიკეტა და ხუთ საათამდე იქ ნებივრობდა. ქართული სტუმარმასპინძლობისა ხომ იცით და შემდეგ ვიტელებმა ებრაელები ორთაჭალაში, რესტორან „თამარიონში“ დაპატიჟეს და ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშამდე დარჩენილი დროც იქ გაატარებინეს.

„ბეითარი“ ეროვნულს 8 საათზე მიადგა. არქიტექტურულად მათ ძალიან კი მოეწონათ ქვეყნის უდიდესი სტადიონი, მაგრამ, ალბათ თავადაც მიხვდებით, სხვას რას იტყოდნენ — კომფორტი? ნურას უკაცრავად.

ჟან ტელასნიკოვი

ბადრი ძიძილაძის ფოტო

მწვრთნელმა ელი გუტმანმა შეგირდები საათსა და 10 წუთს ავარჯიშა და სანახევროდ ჩამოუბნელდა კიდეც. რამდენიმე წუთით პროჟექტორები კი აინთო, მაგრამ...

გუშინ ებრაელებმა ერთი ფეხბურთელიც იმსხვერპლეს — ორმხრივი მატჩისას მცველ შმულიკ ლევის ერთერთმა თანაგუნდელმა კოჭში ფეხი ისე ჩასცხო, ვარჯიში მიატოვებინა და საწამლო გახადა.

— დიდი იმედი მქონდა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ ვითამაშებდი, მაგრამ ახლა რა გითხრათ არც ვიცი. კოჭი შეშუპებული მაქვს. ექიმებმაც ვერ დამამშვიდეს, თამაშის შანსი გამინახევრდა — გვითხრა ლევიმ, რომელიც ვარჯიშის შემდეგ მანქანას მიყრდნობოდა და ნაღვლიანი გამომეტყველება ჰქონდა — „ვიტ ჯორჯია“, ეჭვიც არ მეპარება, თბილისში ბევრ პრობლემას შეგვიქმნის. ჩვენი მცველები ყურადღებით უნდა იყვნენ, თორემ შესაძლოა, დავისაჯოთ — ესეც ტრავმირებულმა მცველმა თქვა.

„ბეითარის“ ვარჯიშისას, შემდეგაც, აშკარად იგრძნობოდა, რომ გუნდის ლიდერი ხორვატი როსოა. მეტად ტექნიკური, სწრაფი ფეხბურთელი ჩანს და გონივრულადაც ბურთაობდა.

ტრავმირებულია, ტრავმირებულიაო, იმდენი ითქვა „ბეითარის“ კაპიტან, ხოტორა იოსი აბუქსისზე, რომ სულაც არაა გამორიცხული, დღეს ის ძირითად შემადგენლობაშიც ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ელი გუტმანმა ჩვენთვის სავარაუდო ძირითადი თერთმეტი ფეხბურთელი მოედნის ერთ ნახევარზე რომ ავარჯიშა, აბუქსისიც მათ შორის იყო და ტრავმირებულისა არაფერი ეტყობოდა.

სამაგიეროდ, ოდნავ კოჭლობდა „ბეითარის“ რუსი ებრაელი ამ ზაფხულს შოტლანდიის „დანდი იუნაიტედიდან“ ისრაელს დაბრუნებული *ჟან ტელასნიკოვი:*

— არა მგონია, ტრავმა სერიოზული იყოს. ხვალ ალბათ ვითამაშებ, ექიმი მასაჟებს გამიკეთებს და...

— მეტოქეზე რას იტყვით?

— აგრესიულ ფეხბურთს თამაშობენ, თანაც, მგონი, საკმაოდ ახალგაზრდები არიან და ფიზიკურად არ გაუჭირდებათ. კარგი გუნდია, ჩვენ მათი თამაშის რამდენიმე ფირი ვნახეთ და გულახდილად გეტყვით, სანუგეშო არაფერი გვაქვს. „ვიტ ჯორჯიას“ ერთი ძლიერი თავდამსხმელი ჰყავს — მელქაძე. ჩვენ მცველებს ბევრ თავსატეხს გაუჩენს.

— მატჩის წინ მწვრთნელი რას გეუბნებათ?

— თბილისში გოლი უნდა გავიტანოთო. ჩვენც ვეცდებით. თუ მეტოქემ ამის საშუალება მოგვცა, ამას რა აჯობებს.

— პროგნოზს იტყვით?

— არა, არასდროს.

— იქნებ ის მაინც გვითხრათ, შოტლანდიიდან ისრაელში რატომ დაბრუნდით, უკეთესი პირობები შემოგთავაზეს?

— არა, პირობები არაფერ შუაშია. მეც დიდი სურვილი მქონდა, შინ დავბრუნებულიყავი. „დანდი იუნაიტედს“ კონტრაქტით კიდევ სამი წელი ვეკუთვნოდი, მაგრამ აქაურ ძალისმიერ თამაშს ვერ შევეგუე, მე ტექნიკური ფეხბურთი მიყვარს.

— ისრაელში შოტლანდიაზე ტექნიკურად თამაშობენ თუ ნაკლებად ძალისმიერად?

— ერთიცაა და მეორეც, ასე მგონია.

— რუსეთში დაიბადეთ?

— დიახ, მერე კი ისრაელში გადავსახლდი. ებრაელი ვარ...

როსომ ტელასნიკოვს ერთი-ორჯერ კეფაზე ხელი წამოარტყა, მასაც ეტყობა ლაპარაკის ხალისი დაეკარგა და ხორვატს გასახდელამდე სულ სიცილ-სიცილით გაჰყვა.

ჩვენ კი „ბეითარის“ ნახევარმცველსა და უნგრეთის ნაკრების წევრ იშტვან ჰამარს გამოველაპარაკეთ.

— თბილისში პირველად ხართ?

— დიახ.

— ალბათ მეორედაც მოგიწევთ ჩამოსვლა

— რატომ?

იხილეთ მესამე გვერდი

ტრავმამოშუშებული იოსი აბუქსისი (ბურთით) დღეს ალბათ ითამაშებს

„ბეითარის“ დასტაქრები შმულიკ ლევის წამლობენ

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ჯოვანი როსო

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

დასაწყისი მეორე გვერდზე

— თქვენ ხომ უნგრეთის ნაკრების წევრი ხართ...

— მერე?

— საქართველო და უნგრეთი შესარჩევ ჯგუფში მეტოქეები არიან.

— ზუსტად არც ვიცი.

— საქართველოზე გსმენიათ რამე?

— როგორ არა. საბჭოთა კავშირის დროს ქართველი ფეხბურთელები და თბილისის „დინამო“ დიდად ფასობდნენ. მათ უნგრეთში იცნობდნენ.

— ახლა?

— პირადად მე გერმანულ არხებს ვუყურებ და ბევრი კომპლიმენტი მსმენია კობიაშვილსა და იაშვილზე. ისინი „ფრაიბურგის“ ლიდერები არიან.

— „ვიტ ჯორჯია“ პირველად გაიგეთ?

— დიახ. საქართველოს ვიცე-ჩემპიონი, დარწმუნებული ვარ, კარგი გუნდი იქნება. რთული მატჩი გველის და კობიაშვილ-იაშვილივით ალბათ ამ გუნდის ფეხბურთელებიც ტექნიკურები არიან.

იმ თერთმეტი ფეხბურთელიდან კი, ზემოთ რომ ვთქვით, მწვრთნელმა ელი გუტმანმა მოედნის ერთ ნახევარზე ავარჯიშაო, ბოდიში, მაგრამ ათი ვიცანით: მეკარე კორენფაინი, მცველები — ჰალფონი და განონი, ნახევარმცველები — ტელასნიკოვი, როსო, ჰამარი, შანდორი და თავდასხმელები — სივილია, მიზრახი. აბუკსისზე უკვე ვოქვით. დღეს „ვიტ ჯორჯიას“ თავიდანვე ალბათ სწორედ ესენი დაუპირისპირდებიან.

 კობა ინასარიძე

ქეცბაიას პარიზული დღე

თემურ ქეცბაიას ახალი გუნდი „ვულვერჰემპტონი“ ამ უქმეებზე მშობლიურ „მოლინოზე“ პრემიერლიგიდან დაქვეითებულ „შეფილდ უენსდეის“ ახალი სეზონის პირველ მატჩში უმასპინძლებს. 900 ათას გირვანქად შეძენილი ქართველის დებიუტიც კვირას შედგება. წესით, ქეცბაია ახლა თანაგუნდელებთან ერთად უნდა იყოს და „მგლების“ სათამაშო ტაქტიკას ეცნობოდეს, ის კი გუშინ ბირმინგემს გამგზავრა და იქიდან პარიზში გადაფრინდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ბრიტანული კანონმდებლობა მოითხოვს — როცა დასაქმების დეპარტამენტი არაევროკავშირელი მოქალაქისთვის ბრიტანეთში სამუშაო ვიზის გაცემის საკითხს განიხილავს, სამუშაოს მაძიებელი კუნძულზე არ უნდა იმყოფებოდეს. თემურმაც მეზობელ საფრანგეთს მიაშურა და ინგლისში დღეს დაბრუნდება, რადგან მას ვიზის მიღებასთან დაკავშირებით პრობლემა არ აქვს და მთელი ეს პროცედურა ფორმალურ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ ქეცბაიას არც ვარჯიში ჩაუვარდება, რადგან კლუბის ხელმძღვანელობამ ყველა ფეხბურთელი ერთი დღით დაასვენა.

ქეცბაიას სამუშაო ვიზის განახლებასთან დაკავშირებით „ვულვზის“ მდივანმა რიჩარდ სკიროუმაც განაცხადა, დასაქმების დეპარტამენტის ჩინოვნიკებს ვესაუბრეთ და დაგვპირდნენ, ყველაფერს უსწრაფესად მოვაგვარებთო.

თემურს კი სულ მალე უფრო შორი და მომქანცველი მოგზაურობა ელის. მომავალ ოთხშაბათს საქართველოს ნაკრები ირანს ესტუმრება და იქაურებთან აშხანაგურ შეხვედრას გამართავს. ცნობილია, რომ კლუბები საერთოდ თავის ფეხბურთელებს სნაკრებო ტურნირებზე უხალისოდ უშვებენ. „ვულვერჰემპტონს“ კი თავისი ახალწვეულის გაშვება არანაირ უხერხულობას არ შეუქმნის. საქართველოს ნაკრებისა და ინგლისური კლუბის მატჩები ერთმანეთს არ ემთხვევა. ქეცბაიას შემდეგი თამაში „ვულვზის“ შემადგენლობაში ორი კვირის მერე შედგება, როცა ასოციაციის თასზე „ვულვზი“ „ოქსფორდს“ უმასპინძლებს.

გიორგი დარჯანია

ქართველი მეგოლე და კაპიტანი ლიუნგბიუში

მიხეილ აშვეთია და მამუკა წერეთელი დღე-დღეზე ალბათ დანიას მიაშურებენ.

ვლადიკავკაზის „ალანიას“ ქართველი თავდამსხმელი და მცველი სწორედ სადღეისოდ ელოდებიან ფიფას დანიელი აგენტის, ივან ბენეშის ზარს. ბენეშმა მშობლიური ქვეყნის „ლიუნგბიუში“ უნდა მოაწყოს საქართველოს ჩემპიონატის შარშანწინდელი ბომბარდირი მიხეილ აშვეთია და ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი მამუკა წერეთელი.

— დანიაში ორივენი ვიყავით. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა პოლ ჰანსენმა საქმეში გვნახა და მოგვიწონა. „ლიუნგბიუ“ წლეულს ჩემპიონობას აპირებს და არც ჩვენგან დაეწუნება რამე. მით უმეტეს, შემოთავაზებული პირობებიც ხელს გვაძლევს და ახლა დეტალების დაზუსტებაღა დარჩა. „ალანიაც“ თანახმაა, გაგვყიდოს „ლიუნგბიუში“, რომელიც 2-2 წლიან კონტრაქტებს გვთავაზობს — გვითხრა გუშინ ოჯახის მოსანახულებლად დანიიდან შინ, ქუთაისში ჩამოსულმა მიხეილ აშვეთიამ.

როგორც „ლიუნგბიუს“ საინტერნეტო გვერდიდან შევიტყვეთ, პოლ ჰანსენს ქართველთა თაობაზე ჩვენს დანიელ კოლეგებთანაც უსაუბრია. ჰანსენმა მათაც დაუდასტურა, რომ სურვილი აქვს, აშვეთია და წერეთელი საკუთარ გუნდში იხილოს.

„ლიუნგბიუ“ შარშან მეშვიდე იყო და 9 ქულით ჩამორჩა ჩემპიონ „ჰერფიოლგეს“. წლეულს კი ახალდაწყებულ ჩემპიონატში მეოთხეა და ლიდერი „ვიბორგი“ ოდენ ქულით უსწრებს.

სხვათა შორის, დანიის ჩემპიონატში ქართველს აქამდეც უთამაშია. გოჩა ქოქოშვილმა სკანდინავიაში ორ წელიწადს დაჰყო, ჯერ პირველლიგელ „იკასტში“ ირიცხებოდა, მერე კი უმაღლესლიგელ „ნესტვედშიც“ ჩაატარა 13 მატჩი.

ვახტანგ ბზიკაძე

მიხეილ აშვეთია

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

პირველი ქართველი პირველ სერიაში

ხიზანიშვილმა ბრატისლავა გამოტოვა და ლეჩეში ითამაშებს

თბილისის „ლოკომოტივის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ბრატისლავაში გუნდთან ერთად რომ გვეგონა, გუშინ ეროვნული სტადიონის ტრიბუნაზე მოკალათებულიყო და „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქე იერუსალიმის „ბეითარის“ ვარჯიშს უცქერდა.

სლოვაკეთში არყოფნის მიზეზი რომ ვკითხეთ, ზურამ პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ჩვეულებრივი თავაზიანობით გვითხრა, უახლოეს დღეებში იტალიაში მივემგზავრები, ალბათ სერია A-ში ვითამაშებო. პასუხი უფრო კონკრეტულად რომ ვთხოვეთ, ზოგიერთივით არაფერი დაუმალავს — „ლეჩე“ მეპატიჟება და თითქმის გადაწყვეტილია ჩემი იმ გუნდში გადასვლაო.

ლეჩეში ზურაბ ხიზანიშვილის ჩასვლის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია, თუმც კი ნაღდია, იტალიას ამ კვირაში აუცილებლად მიაშურებს. „ლეჩეს“ მწვრთნელ ალბერტო კავასინის ზურას თამაში რამდენჯერმე უნახავს და კლუბის ხელმძღვანელთათვის ამ ფეხბურთელის ყიდვა მოუთხოვია. კავასინიმ ისიც კი ზედმეტად ჩათვალა, ხიზანიშვილი „სლოვან“ — „ლოკომოტივის“ უეფას თასის სადღეისო მატჩისას შეემოწმებინა.

„ლეჩესთან“ კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია, თუმც ადრეც ვწერდით, ხიზანიშვილის მსურველ კლუბს „ლოკომოტივისთვის“ დაახლოებით მილიონ-მილიონნახევარი დოლარის გადახდა მოუწევსო.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ზურაბ ხიზანიშვილით ლონდონის „არსენალი“ და მოსკოვის „სპარტაკი“ იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ ზურასვე თქმით, მისი რომელიმე მათგანში გადასვლა თითქმის გამორიცხულია.

დაბოლოს, როგორც ჩანს, მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში — იტალიის სერია A-ში პირველი ქართველიც ითამაშებს. ადრე სერია B-ს „რეჯანაში“, მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების კაპიტან გიორგი ნემსაძეს უთამაშია.

„ლეჩეს“ ამჟამინდელი შემადგენლობიდან კი გამოსარჩევნი „რომას“ ყოფილი მეკარე ანტონიო კიმენტი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის სამი ბურთის გამტანი კრისტიანო ლუკარელი, ერთ დროს თურქულ „ტრაბზონსფორში“ ბოთა არველაძის თანაგუნდელი ხორვატი ფორვარდი დავორ ვუგრინეცი და ასევე თავდამსხმელი დავიდ სესა არიან.

კობა ინასარიძე

ზურაბ ხიზანიშვილი (მარცხნივ)

ბურაბ ფოლადაშვილის ფოტო

მერანმა გაასამა და ყვავილნარში გაემგზავრა

ᲬᲘᲜᲐ მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატი მაჟორულ ნოტაზე დაასრულა თბილისის „მერანმა“. მართალია, ავჭალელები რჩეულ რვა გუნდს შორის ვერ მოხვდნენ, მაგრამ „ბ“ ზონაში, ერთობ დამაჯერებლად იასპარეზეს და პირველობაც ირგუნეს.

„მერანის“ ახალი პრეზიდენტი დავით ფურცელაძე სერიოზულად მოეკიდა საქმეს, ფინანსურად შეჭირვებულ ფეხბურთელებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა და გუნდის გაძლიერებას მიჰყო ხელი.

რა მიზნებისთვის იბრძოლებს „მერანი“, ამას კარსმომდგარი ჩემპიონატი გამოაჩენს. ერთი კია, ავჭალელებს დაგეგმილი საზღვარგარეთული შეკრება უკან დაურჩათ და ხმა გავრცელდა, „მერანს“ ფინანსურად გაუჭირდაო. „საზღვარგარეთ რომ ვერ მოვემზადეთ, იმას არ ნიშნავს, რომ მატერიალურად გვიჭირს. სრულფასოვანი მომზადება შინაურ პირობებშიც შეიძლება“ — თქვა ამას წინათ დავით ფურცელაძემ და „მერანიც“ დღემდე მშობლიურ „სინათლეზე“ გადიოდა წვრთნას. დღეს კი სერგო გაბელაიას შეგირდები ყვავილნარს გაემგზავრნენ მოსამზადებლად. გაბელაიამ სხვებთან ერთად სამი ახალწვეულიც იახლა. ოდიშარიას და ექსშამქირელ კაკუბავას „მერანში“ გადასვლის შესახებ აქამდეც იცოდა მკითხველმა, გუშინ კი ავჭალელებს მამუკა მინაშვილიც შეუერთდა.

გასულ სეზონში მინაშვილმა რუსული „კრილია სოვეტოვიდან“ „დინამოს“ მიაშურა და ჩემპიონატიც იქვე დაასრულა, წლეულს კი „მერანისთვის“ მოუწევს გარჯა.

— მისი საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია, იგი ჩვენს გუნდში ითამაშებს — გვითხრა ფურცელაძემ.

ახალი შენამატით „მერანმა“ სტატუს-კვო აღადგინა. ძველი შემადგენლობიდან ხომ სამი ფეხბურთელი გამოაკლდათ ავჭალელებს — ჯიშკარიანმა კარიერა დაასრულა, კაკაბაძე „ბათუმს“, ხოლო დავითაშვილი „ლოკომოტივს“ შეუერთდა.

დაბოლოს, ყვავილნარში „მერანს“ საკონტროლო მატჩებიც დაუგეგმავს, იქ გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე მოემზადება და პარალელურად „კოლხეთს“, „შუქურას“ და „გურიას“ გაეჯიბრება.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

მამუკა მინაშვილი ჩვეულებისამებრ თავურით გატანას ლამობს

ფოტო ალექსანდრეს

მაღლაკელიძეს კოლხეთი ელის

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ ქუთაისური „ტორპედოს“ რიგები ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა. გრიგოლ ჭანტურიას კლუბთან კონტრაქტი გაუთავდა, ხოლო მეგრელაძე, ვაჩიბერიძე და მაღლაკელიძე ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა. ამათგან ყველაზე ნაკლები ლოდინი ირაკლი მაღლაკელიძეს დასჭირდა. ხვალ იგი ფოთში ჩავა და „კოლხეთთან“ ერთად ივარჯიშებს. ზღვისპირელთა მთავარი მწვრთნელის გია ტყებუჩავას თქმით, მაღლაკელიძის ტრანსფერს წინ არაფერი უდგას და ქუთაისელი მცველი XII ეროვნულ ჩემპიონატში „კოლხეთის“ ღირსებას დაიცავს.

გასულ სეზონში ცოტ-ცოტა ხარვეზები გვქონდა დაცვის ხაზში და ვფიქრობ, მაღლაკელიძე შეგვეშველება ამ საქმეში. იგი გუნდს უთუოდ სასიკეთოდ წაადგებაო — გვითხრა ტყებუჩავამ.

კოლხები საჩემპიონატოდ ყვავილნარში ემზადებიან. ორიოდე დღის წინ გუნდმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა ლანჩხუთის „გურიასთან“.

ამ გუნდებს შორის პირველი შეხვედრის მსგავსად („კოლხეთმა“ 3:0 მოიგო), ამჯერადაც ფოთელებმა იმარჯვეს — 3:1.

როგორც ტყებუჩავა ამბობს, გუნდში ჩინებული განწყობილებაა. „კოლხეთი“ ყვავილნარში 13 აგვისტომდე დარჩება, მერე კი ფოთში დაბრუნდება, რამდენიმე დღეს დაისვენებს და 19 აგვისტოს ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში თბილისში „მერანს“ დაუპირისპირდება.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲚᲝᲒᲘ
ᲒᲘᲐ ᲛᲐᲖᲐᲕᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

- ᲡᲣ ᲯᲝᲙ ᲐᲙᲣ�პᲣᲜᲥᲢᲣᲠᲐ
- ᲡᲣ ᲯᲝᲙ ᲰᲝᲛᲔᲝ�პᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲢᲝᲗᲔᲠᲐ�პᲘᲐ
- ᲙᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ (ᲐᲠᲝᲠᲝᲑᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ)

ᲛᲔᲥᲣᲠᲜᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲘᲗ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 83/11. ᲡᲣ ᲯᲝᲙ ᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 31-55-35, 38-67-56

		ᲒᲐᲡᲮᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ	ᲐᲮᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘ	ᲡᲔᲖᲝᲜᲗᲨᲝᲠᲘᲡᲘ
	ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (მილანი), მაღლაკელიძე (კოლხეთი), გოგიაშვილი, გრ. ჭანტურია (თავისუფალი აგენტი), მეგრელაძე, ვაჩიბერაძე (ტრანსფერზე არიან)	გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), სტურუა, გ. გოგოლაძე (სამგურალი)	დილა 4:0, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0
	ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ *სერგო კოტრიკაძე*	მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (თსუ), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), ჭილაძე (ს.ა. იბერია)	თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენშაფენი (რვაგე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1
	ᲓᲘᲜᲐᲛᲝ *რევაზ არგელაძე*	ბიზანიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მკაბი, თა, ისრაელ), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), მინაშვილი (მერანი), ხუციშვილი (?)	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბაითაშვილი, ტყებუჩავა, ჩიკაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3
	ᲑᲐᲗᲣᲛᲘ *ჯანი კარნეკვალი*	მ. მაჩარაძე (კარიერა დასრულა), ბომერიკი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მუკანასაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა 2:1
	ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ე. გვასალია (?, ისრაელი)	მაღლაკელიძე (ტორპედო), რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გ. ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეკავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, ბათუმი 1:2, გურია 3:0, 3:1
	ᲡᲘᲝᲜᲘ *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2
	ᲘᲑᲔᲠᲘᲐ *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო ზილი, რუსეთი), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა)		სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2
	ᲓᲘᲚᲐ *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
	ᲛᲔᲠᲐᲜᲘ *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	მინაშვილი (დინამო), ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1
	ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ *რევაზ ძოძუაშვილი*	ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰ.ბეეთ შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჭიჭვეიშვილი (ჰ.ქვარსავა, ისრაელი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ჯუღელი (?, კიპროსი ან ისრაელი), ნიკურაძე (გორდა), რ. ონიანი (?)	გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონღაძე (სამგურალი)	გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2
	ᲗᲡᲣ *თენგიზ კაცია*	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ფარქოსაძე (?, გერმანია), ხართიშვილი (?)	მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2
	ᲒᲝᲠᲓᲐ *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲮᲠᲘᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘᲐ

მოკვლევა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ გია არსენიშვილს

ინფორმაცია თბილისის „დინამოსა“ და ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

იხილეთ წინა „სარბიელი“

ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონზე სანიტარული ნორმების დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეისწავლა სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ, შსს ჯანდაცვის მთავარმა სამმართველომ და ამავე სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურმა. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ეროვნულ სტადიონზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ჩატარებულია რიგი ღონისძიებები, კერძოდ, შენობის შიგნით არსებულ გასახდელთა დარბაზში, მსაჯთა ოთახებში, საკონფერენციო დარბაზში, მწვრთნელთა კაბინეტში მოწყობილია სანიტარული კვანძები, საშხაპეები, დაგებულია კაფელი, უზრუნველყოფილია თბილი და ცივი წყლით და სხვა. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსაწესრიგებელია სტადიონის გარე ტერიტორია, კერძოდ:

— სტადიონის ტერიტორია კეთილმოუწყობელია, არ არის დასასვენებელი სკამები, არასაკმარისი რაოდენობითაა სასმელი წყლის ფანტანები.

ნაგავშემკრები კონტეინერებისთვის არა მოწყობილი სპეციალური მოედნები — წყლითა და კანალიზაციით. ნაგვის გატანის შემდეგ კონტეინერები და მათი მიმდებარე ტერიტორიები არ მუშავდება სადეზინფექციო საშუალებებით.

სტადიონის შენობის პირველ სართულზე თითქმის ყველა სათავსში დანესტიანებულია კედლები, რის გამიც იგი ექვემდებარება სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. დარღვეულია სტადიონის მაყურებელთათვის არსებული საპირფარეშოების დასუფთავების სანიტარული ნორმები. პროექტით გათვალისწინებული საპირფარეშოები ძირითადად გადაკეთებულია სხვადასხვა დანიშნულების სათავსებად. დარჩენილია მხოლოდ სამი მოქმედი საპირფარეშო, რომელთაგან მხოლოდ ერთი (18-40 ადგილით) აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს. დღეისათვის გათვალისწინებულ 20 ათას მაყურებელზე სანიტარული ნორმების თანახმად მათთვის მოწყობილი უნდა იყოს საპირფარეშოები 200-400 ადგილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი ტექნიკურად გაუმართავია და არ აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს.

ასევე არადამაკმაყოფილებელია შეფასებული სტადიონის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაც, კერძოდ, — სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოების მიერ მითითებული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო ობიექტი ფუნქციონირებს ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებისა და წესების აშკარა დარღვევებით.

მდგომარეობას ართულებს ის გარემება, რომ ეროვნული სტადიონის სათავსოებში და ტერიტორიაზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აშკარა უგულებელყოფით მოწყობილია მრავალი სავაჭრო ორგანიზაცია.

სტადიონის ყველა სათავსოში ელექტრომეურნეობა არ პასუხობს „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ მოთხოვნებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შემოწმდა ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების მიღებისა და დამონტაჟების საკითხი. შემოწმებით დადგინდა, რომ ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური პლასტმასის სკამები დამონტაჟდა ორჯერ: პირველად — 2 000 ცალი, ხოლო მეორედ 18 100 ცალი, სულ 20 100 ცალი.

ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის ტრიბუნების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 1997 წლის ივლისში ევროფეხბურთის განვითარებისა და დახმარების დეპარტამენტმა (უეფა) გრანტის სახით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გამოუყო 2 000 ცალი ინდივიდუალური პლასტმასის სკამი და მათი მონტაჟისთვის საჭირო სხვა მასალები. აღნიშნულთან დაკავშირებით 1997 წლის 27 ივლისს ინგლისიდან ეროვნული სტადიონის სახელზე შემოვიდა 3 863 კგ. წყალგაუმტარი საიზოლაციო მასალა, ხოლო 27 აგვისტოს კი იტალიიდან 2000 ცალი ინდივიდუალური სკამი და მათი მონტაჟის აღჭურვილობა. ორივე ტვირთი დაიცალა ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე და საბაჟოს მიერ აყვანილი იქნა საბაჟო კონტროლზე. უეფა-ს მიერ გაცემული ინვოისის თანახმად ტვირთისა და შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ (დემონტაჟი, მონტაჟი) შეადგინა 178 904 აშშ დოლარი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტვირთი აყვანილი იყო საბაჟო კონტროლზე, ის 1997 წლის სექტემბერს განბაჟების გარეშე დამონტაჟებული იქნა ეროვნული სტადიონის ტრიბუნებზე. არსებული სკამების დემონტაჟისა და ახალი სკამების მონტაჟის სამუშაოები ინვოისის მიხედვით შესრულებულია იტალიური ფირმა „ფინეირო კონსალტინგის“ მიერ. ფინანსურ ოპერაციაში ეროვნულ სტადიონს მონაწილეობა არ მიუღია.

ამასთან, შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია და სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი არც ეროვნულ სტადიონზე და არც ფეხბურთის ფედერაციაში არ მოიპოვება, ხოლო ფირმა „ფინეირო კონსალტინგის“ სახელზე წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით მთლიანად გაწეული სამუშაოების ღირებულებამ 178 904 აშშ დოლარი შეადგინა.

ამავე ინვოისის მიხედვით ერთი საკარძლის ღირებულებამ მონტაჟით 15,3 აშშ დოლარი, ხოლო მთლიანი სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით კი 8 945 აშშ დოლარი შეადგინა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სკამები და მისი სამონტაჟო სამუშაოებისათვის საჭირო მასალა დახარჯული იქნა გაბაჟების გარეშე. აღნიშნული დარღვევა ფაქტიურად გამოწვეულია იმით, რომ უეფა-დან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელზე გრანტის წერილი მოსულია დიდი დაგვიანებით, 1999 წლის 7 აპრილს, რომელიც შემდგომ დადასტურებულია ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის 23 სექტემბრის №07-2-07/183/4047 წერილით.

გარდა ამისა ტვირთის განუბაჟებლობის საკითხი დიდი დაგვიანებით — 2,5 წლის შემდგომ 2000 წლის 7 თებერვალს შესწავლილი აქვს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მოკლეკვის სამმართველოს, რომლის დასკვნის საფუძველზეც ეროვნულ სტადიონს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი-ჯარიმის სახით 300 ლარი. (ჯარიმა გადახდილია სფფ-ის მიერ)

ამის შემდგომ ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობამ 2000 წლის 21 ივნისს №63 წერილით მიმართა საბაჟო დეპარტამენტს ამავე ტვირთის განბაჟების შესახებ. მიუხედავად ყოველივე ზემოთაღნიშნულისა 1997 წლის ივლის-აგვისტოში შემოტანილი ინდივიდუალური სკამები და მათ დასამონტაჟებლად შემოტანილი მასალა დღემდე განუბაჟებელია.

ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დასამონტაჟებლად ან განათების სისტემის მოსაწესრიგებლად 1998 წელს უეფა-მ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გამოუყო 1 მილიონი შვეიცარული ფრანკი, რომლითაც ამავე წლის ივლის-აგვისტოში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეშვეობით, შემოტანილია ფრანგული წარმოების 18 500 ცალი ინდივიდუალური სკამი და მათი მონტაჟისათვის საჭირო მასალები. არსებული ინვოისების მიხედვით სკამებისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ (დემონტაჟი, მონტაჟი) 750.0 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. არსებული სკამების დემონტაჟისა და ახალი სკამების მონტაჟის სამუშაოები შესრულებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, რომელსაც საინჟინრო კონსულტაციას უწევდა შ.პ.ს. „სპეციალიზებული საჰიდროიზოლაციო საამშენებლო სამმართველო“. როგორც წინა შემთხვევაში, ამჯერადაც ფინანსურ ოპერაციაში ეროვნულ სტადიონს მონაწილეობა არ მიუღია. ეროვნული სტადიონის დირექციაში არსებული 1998 წლის 2 დეკემბრის სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით მიღებული 18 500 სკამიდან სტადიონზე დამონტაჟებულია 18 100 სკამი, ხანძრის შედეგად დამწვარია 161 ცალი, დაზიანების გამო შეცვლილია 79 ცალი. ნაწილი სკამების გამოყენებულია პრეს-ცენტრისა და კონფერენციის დარბაზში, ხოლო დანარჩენი 116 ცალი ინახება საწყობში.

შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული ხარჯების ჩამონთვლის მიხედვით მთლიანად გაწეულმა სამუშაოს ღირებულებამ 750.8 ათასი აშშ დოლარი (1 010,2 ათასი ლარი) შეადგინა. საქმეში არსებული ინვოისების მიხედვით ერთი სავარძლის ღირებულებამ მონტაჟის გარეშე 21 აშშ დოლარი, ხოლო მთლიანი სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით, კი 41,4 აშშ დოლარი შეადგინა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მიღებული 18 500 სკამისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსების საკითხი:

1998 წლის 16 მარტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელზე უეფა-დან გენერალური მდივნის გერჰარდ აიგნერის ხელმოწერით გამოგზავნილია ფაქსი სტადიონების რეკონსტრუქცია-განახლების, ფინანსური თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული წერილის მიხედვით უეფა, ფინანსური დახმარების საჭირო ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს სთავაზობს შეღავათიან საკრედიტო დახმარებას, 20 წლის ვადით წლიურ 2% განაკვეთით. ამის შემდგომ 1998 წლის 8 ივლისს უეფადან გამოგზავნილია ფაქსი, სადაც იგივე გერჰარდ აიგნერი სფფ-ს ატყობინებს, რომ ეროვნული სტადიონისათვის ინდივიდუალური სკამების შესაძენად და დასამონტაჟებლად უეფა-ს მიერ გრანტის სახით გამოყოფილია 1მილიონი შვეიცარული ფრანკი (750 ათასი აშშ დოლარი). როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ თანხით იმავე წლის ივლის-აგვისტოში სფფ-ს მიერ შეძენილი და როგორც გრანტი, საბაჟო გადასახადების გარეშე შემოტანილი იქნა 18 500 ინდივიდუალური სკამი. სფფ-ში ახალი ხელმძღვანელობის არჩევის შემდგომ ცნობილი გახდა სფფ-სა და უეფა-ს შორის 1998 წლის 22 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულების არსებობის შესახებ. ამ ხელშეკრულების მიხედვით ზემოთაღნიშნული 1 მილიონი შვეიცარული ფრანკი (750 ათასი აშშ დოლარი) სფფ-ს გამოეყო 20 წლის ვადით წლიური 2%-ის განაკვეთით, რამაც ხესხის ამორტიზაციის ფიქსირებულ თანხასთან ერთად ყოველწლიურად გადასახდელი 70 ათასი შვეიცარიული ფრანკი შეადგინა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე ხელშეკრულების მიხედვით წლიური საპროცენტო და ფიქსირებული 50 ათასი შვეიცარული ფრანკი დაიფარება უეფადან გამოყოფილი სუფსიდიების ხარჯზე, ხოლო მათი უმამრისობის შემთხვევაში სფფ-ს ანგარიშიდან. ამდენად წარმოდგენილი დოკუმენტაციების მიხედვით უეფადან გამოყოფილი ერთი მილიონი შვეიცარული ფრანკი კრედიტია, რის გამიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ამ თანხებით შეძენილი ინდივიდუალური სკამები და მათ დასამონტაჟებლად საჭირო მასალა უნდა დაბეგრილიყო საბაჟო გადასახდელებით, რის გამიც ბიუჯეტს დააკლდა 240,4 ათასი ლარი. (სულ სანქცია საურავის გათვალისწინებით ბიუჯეტში ამოღებას ექვემდებარება 462,6 ათასი ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ სფფ-ს ხელმძღვანელობამ 2000 წლის 4 ივნრის №01/2 წერილით აცნობა საქართველოს პრეზიდენტს და ითხოვა დახმარება საბაჟო გადასახადებიდან განთავისუფლების საქმეში.

18 100 სკამის მონტაჟისას ხარჯებში გატარებულია საწვავი (ბენზინი 42 850 ლიტრი, ფასით 18 854 ლარი, დიზელი 17 200 ლიტრი, ფასით 3 612 ლარი და ზეთი 868 ლიტრი, ფასით 651 ლარი), რომელიც შესყიდულია შპს „დიკესაგან“. აღნიშნულ საქონელზე 1998 წლის 4 სექტემბერს შპს „დიკეს“ გამოწერილი აქვს №258548 დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. დღგ და აქციზის გადასახადი მოცემულ ანგარიშფაქტურაში დარიცხული არ არის, რის საფუძვლადაც მოყვანილია ფინანსთა სამინისტროს წერილი გრანტის შესახებ. სკამების მონტაჟისას ბეტონის მომწოდებელი იყო შპს „გუმბათი“, რომელსაც ფედერაცია აწვდიდა ცემენტს და „ჰვა“ წებოს, ხოლო ინერტული მასალის და ბეტონის მომზადების საფასურად ფედერაციის მიერ ერთ მ ბეტონში გადახდილია 98,4 ლარი.

შემოწმდა პროგრამით გათვალისწინებული ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ საბჭოს ურთიერთობა და მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში და მათ შორის ფინანსური ურთიერთანგარიშსწორების მდგომარეობა, რომლის დროსაც აღდგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ საბჭო ერთადერთი ფიზიკურ პირია, რომელიც ფიზიკურ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ დამფუძნებლად არის 1992 წლიდან და მისი წილი საწესდებო კაპიტალში არის 10%. ფაქტიურად მას ამ ხნის განმავლობაში დივიდენდები არ მიუღია და არც მონაწილეობდა კლუბის საქმიანობაში.

რაც შეეხება საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ მოგახსენებთ, რომ კლუბის თანამდებობის პირთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე (სისხლის სამართლის საქმე №7400027), რის გამიც კლუბის საბუღალტრო დოკუმენტაცია და ტრანსფერებთან დაკავშირებული ყველა საბუთი ამოღებულია შსს მიერ.

სამთავრობო კომისიის დავალების შესაბამისად შსს შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილია საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ შემოწმების მასალები, რომლის მიხედვითაც გამოვლენილია მთელი რიგი დარღვევები თბილისის „დინამოს“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, კერძოდ, 1988 წლის 29 დეკემბრამდე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და მისი უზრუნველყოფა ფინანსებით, შტატებით, სპორტული ბაზით ხდებოდა მთლიანად „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ და იმყოფებოდა მთლიანად მის ბალანსზე.

„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს 1988 წლის 29 დეკემბრის №57 პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ბაზაზე შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“, სრული სამეურნეო ანგარიშით და თვითდაფინანსებით. კლუბი ანგარიშვალდებული იყო „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს წინაშე. დადგენილების თანახმად საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს“ რესპუბლიკურმა საბჭომ გადასცა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ შტატები, გუნდის შენახვაზე დაგეგმილი 1989 წლის შესანახი სახსრები, დიღმის სპორტული ბაზა, ბავშვთა და იუნიორთა სპორტსკოლის ბაზა და 1989 წელს გათვალისწინებული ამ ბაზების კაპ. რემონტისა და შენახვის სახსრები.

1992 წლის პირველ ნახევარში ფინანსური პრობლემების გამო გადაწყდა შპს-ს დაფუძნება. „დინამოს“ საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წლის 5 ივნისის №9 დადგენილებით მოხდა საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ რეორგანიზაცია — გაუქმდა ძველი და საფუძველი ჩაეყარა ახალ კლუბს.

თბილისის მერიის დიდების რაიონის გამგეობამ 1992 წლის 29 ივნისს №113121-905 გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარა შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისის წესდება. წესდების თანახმად საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 30,4 მილიონი მანეთის ანუ 60 ათასი აშშ დოლარით. შპს-ის დამფუძნებელთა წილები განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. სპორტსაზოგადოება „დინამო“ — საწესდებო კაპიტალის 50.5% — 15,4 მილიონი მანეთი, ანუ 30 ათასი აშშ დოლარი.

2. საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი საწარმო „ბომბორა“ 16.5% — 5 მილიონი მანეთი ანუ 10 ათასი აშშ დოლარი.

3. საქართველო-ბრიტანეთის ავიაკომპანია „ორბი“ 16.5% — 5 მილიონი მანეთი ანუ 10 ათასი აშშ დოლარი.

4. სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „კავკასიონი“ 16,5% — 5 მილიონი მანეთი ანუ 10 ათასი აშშ დოლარი.

ორგანიზაციული პრობლემების გამო აღნიშნულ საზოგადოებას დიდხანს არ უარსებია.

1992 წლის 21 ოქტომბერს დიდუბის რაიონის გამგეობამ რეგისტრაციაში გაატარა შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისი. შპს დებულების თანახმად საწესდებო ფონდის მოლიანი ოდენობა განისაზღვრება 5 მილიონი მანეთით. დამფუძნებლები იყვნენ:

რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“, რომელმაც საწესდებო კაპიტალში შეიტანა 1 598 ათასი მანეთის საბალანსო ღირებულებით შეფასებული დიღმის საფეხბურთო-საწვრთნელი ბაზა და 97 880 მანეთად შეფასებული „ნორჩი დინამოელის“ საწვრთნელი ბაზა.

— ფირმა „ბერმუხა 92“ (მ. რატიანი), რომლის მიერ საწესდებო კაპიტალში შესატანმა თანხამ შეადგინა 3 204 ათასი მანეთი.

— მოქალაბე მ. ჟორდანიას საწესდებო კაპიტალში უნდა შეეტანა 100 ათასი მანეთი.

შპს-ს დებულების 3.6 პუნქტის თანახმად „საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის თითოეულ მონაწილეს უნდა შეეტანა შესატანი თანხის არანაკლებ 50%.

— ფირმა „ბერმუხა 92“-ისა და მოქ. მ. ჟორდანიას მიერ შპს-ს საწესდებო ფონდში თავიანთი წილის შეტანის დამადასტურებული რაიმე დოკუმენტი შსს საგამომძიებლო დეპარტამენტის მიერ ამოღებულ დოკუმენტაციაში და არც შპს-ს ოფისში არ აღმოჩნდა. წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ძირითადი საშუალებების აღრიცხვის საინვენტარო ბარათი №3, რომლის მიხედვითაც შპს-ს ბუღალტრულ აღრიცხვაზეა დაყენებული კომპანია „ბერმუხა-92“-ის მიერ შეძენილი ა/მ გაზ 31029, რომლის ღირებულებად განსაზღვრულია 3 მილიონი მანეთი.

მიუხედავად აღნიშნულისა შპს-ს მოგებიდან წილების განაწილება მოხდა დამფუძნებელთა ფაქტიური შენატანების გაუთვალიწისებლად, კერძოდ შპს „ბერმუხა 92“ — 80%, მოქ. მ. ჟორდანია — 10% და ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ — 10%.

შპს რეგისტრაციაში გატარდა და შემდგომ ფუნქციონირებდა ისე, რომ არ განხორციელებულა:

სპორტული ბაზების მიღება-ჩაბარება;

ფეხბურთელთა გუნდის შეფასება და გადაცემა შპს-ზე (გუნდში ირიცხებოდნენ: გ. ქინქლაძე, ძმები არველაძეები, მ. შელია, გ. ნემსაძე და ა.შ.)

ფაქტიურად გამოდის რომ შპს არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი თავის საქმიანობაში გამოეყენებინა სპორტული ბაზები და ფეხბურთელთა გუნდი, შესაბამისად არ გააჩნდა სამოქალაქო სამართლით განსაზღვრული იურიდიული პირისთვის აუცილებელი ქონება.

1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის მიხედვით შპს საფეხბურთო კლუბ „დინამო“ თბილისს უნდა გაევლო ხელახალი რეგისტრაცია, რაც არ გაკეთებულა და 1996 წლის 1 ივნისიდან იგი აღარ სარგებლობს იურიდიული პირის სტატუსით, 1997 წლის დეკემბერში შპს-ს დირექტორატის მიმართვის საფუძველზე დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსმა მ. ქევანიშვილმა უფლებელყო რა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 9 ივნისის №193 განკარგულება „საწარმოთა რეგისტრაციის მდგომარეობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, არ დააყენა შპს-ს ლიკვიდაციის საკითხი და უკანონოდ მიანიჭა მას საინდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნულით ისარგებლა შპს-ს ხელმძღვანელობამ და სასამართლო რეგისტრაციის გარეშე გააგრძელა ფუნქციონირება, რითაც უხეშადაა დარღვეული კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

ამრიგად შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისი მისი რეგისტრაციის დღიდან (21.10.92 წ.) მოყოლებული ფორმალურად წარმოადგენდა იურიდიულ პირს, რადგან არ გააჩნდა საკუთარი ქონება (სპორტული ბაზის მიღება?ჩაბარების აქტი სანოტარო წესით დადასტურებული და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში აღრიცხვით). ვერ იქნა წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალის შევსების დამადასტურებელი დოკუმენტები. წილების განაწილებისას ხელოვნურადაა შემცირებული ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „დინამოს“ წილი. (არ იქნა აფასებული დამოუკიდებელი აუდიტის მიერ საწესდებო კაპიტალში ჩასადები ქონება) ხოლო „ბერმუხა 92“-ს და მოქ. მ. ჟორდანიამ წილი კი გაზრდილი.

იხილეთ მომდევნო „სარბიელი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

ინგლისელის პირველი ვარჯიში ახალწვეულებთან: სტივ მაკმანამანი, ფლავიო კონსეისაო და კლოდ მაკელელე

რეალურად ასეა

მადრიდელთა ახალწვეულებმა რედონდოსთან ერთად მაკმანამანიც შეიწირეს

რამდენიმე კვირაა, სანდო წყაროები ირწმუნებიან, სტივ მაკმანამანს მადრიდის „რეალში“ მომავალი აღარ აქვსო.

რამდენიმე კვირაა, სტივ მაკმანამანი ცრემლად იღვრება და კლუბის ხელმძღვანელობას ეხვეწება, ნუ გამიშვებთ, გამოგადგებითო...

ამ რამდენიმე დღის წინ ინგლისელს იმედი მიეცა: „მწვრთნელმა და გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა მითხრეს, რომ მომავალ სეზონში სასტარტო შემადგენლობაში თამაში ძალიან გამიჭირდება. თუმც იქვე მიმანიშნეს, რომ მცირედი შანსი კიდევ მაქვს. ეს მე ხელს მაძლევს. თავდაუზოგავად ვიმუშავებ, რათა კლუბს ჩემზე გული მოუბრუნდეს.“

არ ვიცით, ალბათ მაკმანამანმა მწვრთნელის სიტყვები სწორად ვერ გაიგო, ყოველ შემთხვევაში, ლისაბონს გამგზავრებულ რეალელთა შორის ყოფილი ლივერპულელი არ არის. პორტუგალიის დედაქალაქში კი „რეალი“ იქაურ „სპორტინგთან“ ამხანაგურად სათამაშოდ ჩავიდა. იქამდე მაკმანამანი არც მიუნხენის ოთხთა ტურნირზე ათამაშეს. ეს კი მისი ბედის საბოლოოდ გადაწყვეტას ნიშნავს — „რეალს“ მაკმანამანი აღარ ჭირდება და როგორც კი ხელსაყრელ ვარიანტს მოძებნის, გაჰყიდის.

ახლა კითხვა ასე დავსვათ, რატომ აღარ სჭირდება „რეალს“ მაკმანამანი? ისევე როგორც ფერნანდო რედონდო, რომელიც ახლახან „მილანს“ მიჰყიდა? ცხადია, ვისენტე დელ ბოსკეს არ დაავიწყდებოდა, რომ მისი გუნდი ჩემპიონატთა თასს რედონდოს და მაკმანამანის გარეშე ვერ მოიპოვებდა, მაგრამ კლუბს თავისი ანგარიშები აქვს.

ფლორენტინო პერესს საპრეზიდენტო არჩევნების მოგება ლუიშ ფიგუს შეძენად დაუჯდა. ფიგუს ფლავიო კონსეისაო, კლოდ მაკელელე, სანტიაგო სოლარი, პედრო მუნიტისი, ალბერტ სელადესი, სესარ სანჩესი და ესტებან კამბიასო დაემატნენ (რამდენიმე მათგანი ლორენსო სანსმა პრეზიდენტობის ბოლო დღეებში შეიძინა). ახლა მათზე დახარჯული ფული კლუბის ძველ ვალებს დავუმატოთ, რომელიც ორ ასეულ მილიონ დოლარზე მეტია და აშკარაა, რომ „რეალი“ იძულებული გახდა, ზოგიერთი ძველი ფეხბურთელი გაეყიდა. მაკმანამანის გარდა, კლუბმა ათამდე სხვა მოთამაშე დააყენა ტრანსფერზე.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც რედონდოს და მაკმანამანის მსგავსი სასარგებლო ფეხბურთელებიო? — იკითხავთ. ეს ის კითხვაა, რომელზეც ალბათ ვისენტე დელ ბოსკესა და ფლორენტინო პერესის გარდა ვერავინ უპასუხებს. ყველაზე სავარაუდო ის არგუმენტია, რომ კლუბი მათში უფრო ბევრ ფულს მიიღებს, ვიდრე ოგნიენოვიჩის, ბალიჩის (რომელიც უკვე ივარით დაუთმეს „ფენერბაჰჩეს“), ტოტესა და მისთანების გაყიდვით. ხოლო მანუელ სანჩისი კლუბის ცოცხალ ექსპონატად უფრო გამოადგებათ.

ფერნანდო რედონდო უკვე „რეალის“ გუშინდელი დღეა. იგივეს თქმა სტივ მაკმანამანზეც შეგვიძლია და ალბათ აჯობებს, „სამეფო კლუბის“ სამომავლო სათამაშო სქემასა და შემადგენლობაზე ვისაუბროთ.

ქვემოთ მოცემულ „რეალის“ სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში, რომელთაც მადრიდული კლუბი სექტემბრიდან დაიწყებს მორიგი ჯილდოებისთვის ბრძოლას, ორი სახელი იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას: მიჩელ სალგადო და ფლავიო კონსეისაო. ამის მიზეზი ახლახან ატეხილი აჟიოტაჟია, რომელიც ზინედინ ზიდანის სახელს უკავშირდება.

მოკლედ შეგახსენებთ. ფლორენტინო პერესს სურს, ახალნაყიდი ფლავიო კონსეისაო „იუვენტუსს“ ზიდანში გაუცვალოს (ცხადია, თანხის დამატებით). ასევე საუბრობენ რომის „ლაციოს“ სალგადოთი დაინტერესებაზეც. გუშინწინ კი ფეხბურთელის გადაბირება „მილანმაც“ ისურვა. თუმც მთავარი აქ ის გახლავთ, რომ თავად ფლორენტინო პერესს უნდა სალგადოს გაშვება, აქაოდა, ლორენსო სანსის სიძეაო.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, სალგადო დელ ბოსკეს თავისთვის სჭირდება და კლუბს მისი შემცვლელიც არ ჰყავს. წინა სეზონში სალგადოს ფუნქციები რამდენჯერმე ჯერემიმ იკისრა, მაგრამ კამერუნელსაც წყალი შეუდგა. ასე რომ, მიჩელ სალგადოს ჯერჯერობით არაფერი ემუქრება.

რაც შეეხება ფლავიო კონსეისაოს, თუ მისი ზიდანში გაცვლა ჩაიშლება, მადრიდელები წაგებულნი მაინც არ დარჩებიან — ბრაზილიელი და მაკელელე რედონდოს შემცვლელად ეყოლებათ.

რამდენად გაამართლებენ „რეალის“ ახალწვეულები მათში გადახდილ ფულს და როგორ შეცვლიან ძველებს, სულ მალე ვნახავთ, სეზონის დაწყებამდე რაღა დარჩა.

გიორგი დარჯანია

მადრიდის „რეალის“ სავარაუდო თერთმეტეული 2000-2001 წლების სეზონის დასაწყისისთვის სპეციალისტებს ასეთი წარმოუდგენიათ

ფიფა-კოკა კოლას რეიტინგის არსებობის მანძილზე არგენტინა პირველად მოხვდა სამეულში. სამხრეთამერიკელთა ასეთი აღმასვლა კი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მათმა ზედიზედ ხუთმა გამარჯვებამ განაპირობა. არგენტინას ბოლო მატჩი ბრაზილიასთან რომ არ ნაეგო, მეორე ადგილიდან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონსაც გამოაძევებდა.

ბრაზილიელთა პირველობას კი საფრთხე, ალბათ არ ემუქრება. უახლოესი მდევარი საფრანგეთი, სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონია და შესარჩევი ციკლიდან გათავისუფლებულია, ბევრ სარეიტინგო შეხვედრას ვერ გამართავს და შესაბამისად ქულებსაც ვერ მიითვლის.

პარაგვაიმ ბრაზილიის დამარცხებისთვის ორმოცი ქულა დაიმატა და წინა თვესთან შედარებით სამი საფეხურით აინია. ყველაზე დიდი ნახტომი კი, ნუ გაიკვირვებთ, და, რუანდას გაუკეთებია. საერთოდ, რეიტინგს თუ ვენდობით, აფრიკელები ამ ბოლო დროს ძალიან კარგად ათამაშებულან. რუანდას გარდა, ბოლო თვეში ყველაზე მეტი ქულები გვინეამ, ნამიბიამ, ლიბერიამ, უგანდამ და მავრიკეთმა დააგროვეს.

აფრიკელებისა აფრიკელებმა იკითხონ, საქართველოსი ვთქვათ. ჩვენ ფიფამ 68-ე საფეხურზე მიგვიჩინა ადგილი და მასაც ქუვეითი გვეცილება.

ფიფა კოკა-კოლას რეიტინგი

1. ბრაზილია	819	1	17. კოლუმბია	648	17
2. საფრანგეთი	808	2	18. დანია	639	16
3. არგენტინა	749	4	19. შვედეთი	638	18
4. ჩეხეთი	745	3	20. სამხრეთ აფრიკა	629	23
5. ესპანეთი	743	4	21. აშშ	627	20
6. იტალია	729	6	22. ჩილე	625	22
7. პორტუგალია	716	7	22. შოტლანდია	625	21
8. ჰოლანდია	710	8	24. მაროკო	609	25
9. ნორვეგია	705	10	25. რუსეთი	606	24
10. იუგოსლავია	704	11	25. ტუნისი	606	27
11. გერმანია	700	9	27. სლოვაკეთი	598	26
12. რუმინეთი	695	12	28. ბელგია	596	28
13. ინგლისი	689	15	29. ტრინიდადი და ტობაგო	586	37
14. მექსიკა	688	13	29. თურქეთი	586	29
15. ხორვატია	687	14	68. საქართველო	495	65
16. პარაგვაი	655	19			

რობერტო კარლოსის (№6) ბრაზილია მსოფლიოში კვლავაც პირველია, ერნან კრესპოს არგენტინამ კი მესამე ადგილზე აინაცვლა და ადგილი ჩეხებს დაათმობინა

მსოფლიო 2002-ის ორგკომიტეტის თანახელმძღვანელი გადადგა

მოგეხსენებათ, 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი კორეა-იაპონიაში ჩატარდება. მანამდე ორი წელიწადია დარჩენილი, მაგრამ მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაიწყო. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონატის თანამასპინძელი სამხრეთ კორეის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა პარკ სე-ჯიკმა თანამდებობა დატოვა.

„თავმჯდომარე მართლაც გადადგა. მის ნაცვლად ხელმძღვანელად მოადგილე, ჩუნგ მონგ იუნი დაინიშნება, რამდენიმე თვეში კი ახალ მმავრთველს ავირჩევთ“ — განაცხადა კომიტეტის პრეზიდენტმა.

იუწყებიან, რომ ხელმძღვანელი პირადი მიზეზების გამო გადადგა, მაგრამ მედია ეჭვობს, რომ შესაძლოა სხვა მოტივებიც არსებობდეს. დეტალებს არ აცხადებენ. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ შეკრება მომავალ ორ თვეში გაიმართება და ახალ ხელმძღვანელს აირჩევენ.

ადრე იქაური პრესა ირწმუნებოდა, რომ ხელმძღვანელს კომიტეტის სხვა წევრებთან უთანხმოება მოუვიდა. აღსანიშნავია, რომ პარკ სე-ჯიკი საორგანიზაციო საქმეებში გამოცდილი გახლდათ. 1988 წელს იგი სეულის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

პრესატაშემ ისიც დასძინა, რომ საორგანიზაციო სამუშაოები არ შეფერხდება და ახალი სტადიონების მშენებლობა 2001 წლის დეკემბერში დასრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS გრაციდან

შტურმი — ფეიენოორდი 2:1. როტერდამელმა კრისტიან გიანიმ (მარცხნივ) გრაცელი რუსი სერგეი იურანი ბურთთან არ მიუშვა

შანსები? ნულის ტოლი...

გუშინწინდელი ღამე, ალბათ, არასოდეს დაავიწყდებათ რუსებს. არადა, როგორ ეიმედებოდათ, მოსკოვის „ლოკომოტივს“ სრულიად ხელეწიფება თურქული „ბეშიქთაშის“ ბარიერის დაძლევა, ლიგაშიც ორი გუნდი — „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“ გვეყოლებაო. მაგრამ ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა. არა, თეორიული შანსი ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ პრაქტიკული... თუმცა ჯობს დავიცადოთ, ბურთი მრგვალია.

გუშინწინდელი მატჩებიდან თითქმის ყველა ლოგიკურად დასრულდა, გარდა ერთისა. ავსტრიულმა „შტურმმა“ ბოლო წუთზე მარკუს შოპის პენალტით ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ დააჩოქა.

„ბეშიქთაში“ —„ლოკომოტივის“ მატჩამდე თურქები თავიანთ წარმატებაში დარწმუნებულნი იყვნენ. ფეხბურთელები პროგნოზებსაც აკეთებდნენ, ყველა ამბობდა, 2:0-ს მოვიგებთო. თურქეთის ნაკრების ნახევარმცველმა ტაიფურ კორკუტმა უფრო შორსაც გაუტია, შეხვედრა 4:1 დასრულდება, ცხადია, ჩვენ გავიმარჯვებთო. „ბეშიქთაშის“ ახალი იტალიელი თავკაცი ნევიო სკალა მოკრძალებული იყო: „ვერაფერს ვიტყვი, ძნელი მატჩია, რუსები კარგ ფორმაში არიან, გამართულ ფეხბურთს თამაშობენ.“ ამ სიტყვებს სკალა შეხვედრამდე ამბობდა, მერე კი სიხარულისაგან ბავშვივით ცქმუტავდა: „ჩემმა ბიჭებმა იმდენად მშვენივრად ითამაშეს, თავადაც გაოგნებული ვარ, 3:0-ს ნამდვილად არ ველოდი.“ ჩვენმა რუსმა კოლეგებმა თანამემამულეთა უსუსური თამაში რომ იხილეს, ირონიულად თქვეს, ევროპა გვინდოდა, მხოლოდ სტამბოლამდე კი მივედითო.

„ლოკომოტივს“ დიდი ანგარიშით ნამდვილად არ უნდა წაგო, ის კი არა, „ბეშიქთაშის“ ნიგერიელ მეკარე იკე შორუნმუსთან პირისპირ დარჩენილ დმიტრი ლოსკოვს რომ ეყოჩალა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მოვლენები. ინერტული იყო ქართველი ზაზა ჯანაშია. თუ თურქ ჟურნალისტებს ვერწმუნებით, „ბეშიქთაშმა“, ფეხბურთი რასაც ჰქვია, ბოლო 10 წუთს ითამაშა. მატჩის საუკეთესოდ მასპინძელთა სლოვაკი ლეგიონერი, ესპანური „ბეტისიდან“ გადაბარგებული მიროსლავ კარჰანი აღიარეს.

რკინიგზელთა მწვრთნელმა იური სიომინმა მარცხში საკუთარი თავი დაადანაშაულა: „ჩემი ბრალია, ტაქტიკურად წავაგეთ. როცა უპირატესობა გვქონდა, ბიჭები შეტევაში იყვნენ გადართულნი, დაცვა კი მოვაშიშვლეთ. ჩვენი შანსები? ნულის ტოლია.“

დანიის ვიცე-ჩემპიონი „ბრონდბიუ“ 83 წუთი ყოჩაღად გაუმკლავდა „ჰამბურგს“, უფრო მეტიც, მეტოქის კარს რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია და გერმანელთა მეკარე ჰანს იორგ ბუტს გვარიანი ოფლი აღვრევინა. მაგრამ დანიელებმა გოლი ვერაფრით გაიტანეს, მატჩის მიწურულს კი გადაიღალნენ და ორ წუთში ორი ბურთი გაუშვეს. ასე რომ, „ჰამბურგს“ სტუმრად მიღწეული წარმატებით მომდევნო ეტაპზე გასვლა და ჯგუფში მოხვედრა აღარ გაუჭირდება.

ის ფაქტი, რომ გერმანელებმა გოლი ფორტუნის წყალობით არ გაუშვეს, თავად „ჰამბურგის“ თავკაცმა ფრანკ პაგელსდორფმა აღიარა. „ნამდვილად გავიმართლა — განაცხადა მწვრთნელმა — ჩვენს დაცვაში ოდნავი ხარვეზები შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმის 30 წუთში, ძალიან ადვილად შეიძლებოდა, ერთი ან მეტი ბურთიც გაგვეშვა. მაგრამ ბოლოს სიტუაცია გამოსწორდა, ბოლო 15 წუთში ბიჭებმა მოინდომეს და უპირატესობაც ხელთ ვიგდეთ. ჩვენი გუნდისთვის ეს ჩემპიონთა ლიგაში პირველი გამოცდა იყო, „ბრონდბიუს“ ფეხბურთელები კი შედარებით გამოცდილები არიან. საბედნიეროდ, მათი დამარცხება სტუმრად შევძელით და ეს ძალიან დიდი უპირატესობაა, თუმცა საპასუხო მატჩისთვის ყურადღებას არ მოვადუნებთ. მთავარია, ორი კვირის შემდეგ ჩასატარებელ შეხვედრაში არ მოვეშვათ, ბოლომდე ვიბრძოლოთ და ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდეთ“.

ბოლო შვიდ წუთში დანიის ვიცე-ჩემპიონს, როგორც მოგახსენეთ, ძალებმა უმტყუნა და „ჰამბურგის“ შეტევებს ველარ გაუმკლავდა. პირველი გოლი სტანდარტული მდგომარეობის შემდეგ გავიდა — მაჰდავიკიამ მეტოქის კართან ჯარიმა ჩააწოდა, ბოსნიელმა სერგი ბარბარესმა კი ზუსტი თავური დარტყმით ბურთი კარში გადაგზავნა. ორ წუთში გოლის ავტორმა და თანაავტორმა როლები გაცვალეს, ამჯერად მეჰდი მაჰდავიკამ გამოიჩინა თავი ბარბარესის ზუსტი პასის შემდეგ.

მოლდოვის ჩემპიონმა „ზიმბრუმ“ კიშინიოვში ჩეხურ „სპარტას“ უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. ერთადერთი გოლი დენი ობაიდინმა 61-ე წუთზე გაიტანა, როცა მის ზუსტ თავურ დარტყმას „ზიმბრუს“ მეკარე დენის რომანენკო ვერ გადაეღობა. თუმცა აღნიშნავენ, რომ კიშინიოველებს ფარ-ხმალი იოლად არ დაუყრიათ და ბოლო წუთებამდე თავი არ დაუზოგავთ, რათა საპასუხო მატჩისთვის შანსები შენარჩუნებინათ. საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე „ზიმბრუს“ რუმინელ ფორვარდ ლულიან არირეს შეეძლო ამის გაკეთება, მაგრამ მისი დარტყმული პრაღელთა მეკარემ მოიგერია.

ავსტრიულმა „შტურმმა“ „ფეიენოორდს“ ბოლო წუთზე გამოგლიჯა გამარჯვება ხელიდან. მარკუს შოპმა შეხვედრაში თავისი მეორე პენალტი 90-ე წუთზე გაიტანა. თერთმეტმეტრიანი ბოლო წამებზე იმრე სჟაბისკის წაქცევისთვის დაინიშნა, მას ფერი დე ჰაანი ეუხეშა. ავსტრიელებმა 2:1 მოიგეს და ჯგუფურ ეტაპზე გამსვლელის ვინაობას ეს გუნდები ორი კვირის შემდეგ როტერდამში, „დე კუიპის“ სტადიონზე გაარკვევენ. ეს სწორედ ის არენაა, სადაც ევროპის ჩემპიონატის დრამატული ფინალი ჩატარდა.

შინ ჰოლანდიელებს არგენტინელი ფორვარდი ხულიო რიკარდო კრუზი ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა, რომელიც როტერდამელთაგან ერთადერთი გოლის ავტორ იგორ კორნეევის ნაცვლად შეევიდა მინდორზე, მატჩის დასასრულს წითელი ბარათი დაიმსახურა და საპასუხო შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

ორშაბათს გამართულ ერთადერთ მატჩზეც ვთქვათ. ბრატისლავის „ინტერმა“ ფრანგულ „ლიონს“ უმასპინძლა, 1:2 დამარცხდა და მომდევნო ეტაპზე მოხვედრა ურთულეს ამოცანად გაიხადა. მასპინძლებმა მეორე გოლი მატჩის მიწურულს, 89-ე წუთზე გაუშვეს, ერთი წუთის შემდეგ კი „ლიონს“ მოთამაშე გაუძევეს, ფლორენ ლავილმა წითელი ბარათი დაიმსახურა და ორი კვირის შემდეგ ვერ ითამაშებს.

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 7-8 აგვისტო

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ინტერი (სლოვაკეთი) 1:2 ლიონი (საფრანგეთი)
0:1 ანდერსონი (50), 1:1 ნემეტი (75), 1:2 დელმოტი (89)

ზიმბრუ (მოლდოვა) 0:1 სპარტა (ჩეხეთი)
0:1 ობაიდინი (61)

ბრონდბიუ (დანია) 0:2 ჰამბურგი (გერმანია)
0:1 ბარბარესი (83), 0:2 მაჰდავიკია (85)

შტურმი (ავსტრია) 2:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)
0:1 კორნეევი (7), 1:1, 2:1 შოპი (22 პ, 90 პ)
გაძევება: ხულიო კრუზი (90, ფეიენოორდი)

ბეშიქთაში (თურქეთი) 3:0 ლოკომოტივი (რუსეთი)
1:0 ნიპომი (10), 2:0 ნუმა (80), 3:0 კარჰანი (90)
ბეშიქთაში: შორუნმუ, კარჰანი, ტაიფური, ხლესტოვი (ერმანი 38), ხალილაჯიჩი, აპმეთი (მურატი 60), ნიპომი, მეჰმეთი, მიუნი, უმითი (რაპინი 46), ნუმა
მწვრთნელი: ნევიო სკალა
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიკეჟოროდოვი, დროზდოვი, ევსეევი, პაშინინი, ჩუგაინოვი, ბულიკინი (სარქისიანი 83), ლავრიკი, ჯანაშია (პიმენოვი 65), ლოსკოვი, ხარლაჩევი (სოლომატინი 57)
მწვრთნელი: იური სიომინი
მსაჯი: ჯ. ტრენტალანჯე (იტალია)
20 000 მაყურებელი

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 8 აგვისტო

UEFA CUP

ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 0:2 ანთალია (თურქეთი)
0:1 ხინალი (37), 0:2 ანიჯლოვიჩი (52)
გაძევება: მაგომედოვი (18, ქიაფაზი)

აპრანესი (ისლანდია) 0:3 გენტი (ბელგია)
0:1 სხეპენსი (32), 0:2 პედერსენი (78), 0:3 ოლკუსე (90)

და რა შუაშია ზეინალოვი?

მთელი რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბელგიურმა „გენტმა“ ბოლოს ითამაშა ევროტურნირზე. კლუბის ხელახალი დებიუტი რეიკიავიკის „ლაგარდასფოლურის“ სტადიონზე შედგა, სადაც ბელგიელები ადგილობრივ „აკრანესს“ შეხვდნენ.

ამ წყვილიდან შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ეჭვს პრაქტიკულად აღარ იწვევს, „გენტმა“ მეტოქე მისსავე მოედანზე იოლად დაჯაბნა და სასწაული იქნება, თუ საპასუხო შეხვედრას 0:4 წააგებს.

სამი გოლი და ერთიც გამოუყენებელი პენალტი — ასეთია ბელგიელთა ისლანდიური მონაგარი. სტუმრებმა ანგარიში 32-ე წუთზე გახსნეს, როცა ჯეკი პეეტერსის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი გიუნტერ სხეპენსმა აკრანესელთა კარში გადაგზავნა. მერე კი იმავე სხეპენსისა და ყოფილი მარიბორელის, გერი ჩიპის გარღვევა და ალექსანდროს კაკლამანოსის საგოლე პოზიციაში გაყვანა პენალტის დანიშვნით დასრულდა — მასპინძელთა მეკარე ოლაფურ გუნარსონმა ბერძენი თავდამსხმელის შეჩერება მხოლოდ წესების დარღვევით შეძლო. სტუმრებმა ეს შანსი ვერ გამოიყენეს, ერიკ ჟოლიმ არაზუსტად დაარტყა.

ბელგიელებმა შეხვედრის ბოლო თორმეტ წუთში ორი გოლი კიდევ შეაგდეს. ანდრეს კრისტენსენი მარჯვენა ფლანგიდან მეტოქის კარს მიუახლოვდა, საბოლოო დარტყმის უფლება კი მორტენ პედერსენს დაუტოვა და — 0:2. ბოლო წუთზე პირველი გოლის ავტორი სხეპენსი მოედნის ცენტრიდან სოლო-გარღვევით გუნარსონის კარამდე მივიდა და პერუელ თანაგუნდელ ალდო ოლკესეს მესამე გაატანინა. მატჩი ამით დასრულდა. „გენტი“ ორივეთი თუ არა, ცალი ფეხით მაინც მომდევნო ეტაპზეა.

აზერბაიჯანული „ქიაფაზის“ ბედი მე-18 წუთზე მათი მეკარის, ჰუსეინ მაგომედოვის გაძევებამ გადაწყვიტა. ამის მერე მასპინძლები გატყდნენ და არცთუ ძლიერი „ანთალიასგან“ ორი გოლი მიიღეს. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მაგომედოვის ნაცვლად შესულმა ხაიალ ზეინალოვმა ჩინებულად ითამაშა, მაგრამ დაცვის უსუსურობამ და კაცნაკლულობამ თავისი გააკეთა. მატჩის შემდეგ აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელმა იგორ პონომარიოვმაც განაცხადა: „ქიაფაზს“ შეხვედრა დაცვამ წააგებინა, ზეინალოვი კი საუცხოოდ გაისარჯა“.

ინტერტოტოს თასი. ფინალი

პირველი მატჩები. 8 აგვისტო

INTERTOTO CUP

ოსერი (საფრანგეთი) 0:2 შტუტგარტი (გერმანია)
0:1 ტიამი (18), 0:2 ბალაკოვი (70 პ)

სიგმა (ჩეხეთი) 2:2 უდინეზე (იტალია)
1:0 მუსა (12), 2:0 კობარი (24 პ), 2:1 ვალეში (42), 2:2 სოსა (65)
გაძევება: ბერტოტო (23) (უდინეზე)

სელტა (ესპანეთი) 2:1 ზენიტი (რუსეთი)
0:1 იგონინი (2), 1:1 კარპინი (22), 2:1 ხუანფრანი (90)
გაძევება: გუსტავო ლოპესი (74, სელტა)

დისკვალიფიცირებული სტეფან გივარშის არყოფნაში „ოსერმა“ შტუტგარტელებს გოლი ვერ გაუტანა, თავის კარში კი ორი გაუშვა.

მე-18 წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მიტოვებულ პაბლო ტიამს ისღა დარჩენოდა, უძლიერესი დარტყმით ანგარიში გაეხსნა. მეორე ტაიმში უკვე ვეტერანმა ბულგარელმა კრასიმირ ბალაკოვმა გამოიჩინა თავი და ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანით ფრანგები მეორედ დამწუხრა. თუმც ეს გოლი ბალაკოვის გარდა რობერტო პინტოს დამსახურებადაც უნდა ჩაითვალოს, პენალტი ხომ სწორედ მისი მოცელვისთვის დაინიშნა.

საპასუხო მატჩის წინ „შტუტგარტი“ არხეინადაა, სტუმრად მოპოვებული გამარჯვება გერმანელებს დამშვიდების უფლებას აძლევს.

იმედიანადაა იტალიური „უდინეზეც“. საპასუხო შეხვედრაში უდინელებს შინ მოგების გარდა 0:0 ან 1:1 აძლევს ხელს, რაც ძნელი მისაღწევი არ უნდა იყოს. არადა, „სიგმასთან“ პირველ მატჩს სულ სხვა პირი უჩანდა — 24-ე წუთისთვის იტალიელები 0:2 აგებდნენ და ათნიღა დარჩენილიყვნენ. მაგრამ, როგორც მერე გაირკვა, ასეთმა დასაწყისმა ჩეხებს თავბრუ დაახვია, იტალიელებს კი პირიქით, მობილიზაციისკენ უბიძგა. შედეგმაც არ დააყოვნა და მსაჯის საფინალო სასტვენმა მასპინძლები გაოგნებულები დატოვა — პრაქტიკულად მოგებული მატჩი მათთვის მწარე იმედგაცრუებად იქცა.

ათი კაცით მოიგო „სელტამაც“. ჩეხებისა არ იყოს, სანქტ პეტერბურგელებიც ნაადრევად მოეშვნენ, სტუმრად ფრე სასურველ შედეგად მიიჩნიეს და მსაჯის მიერ წამატებული დრო არად ჩააგდეს, აბა, გუსტავო ლოპესის გარეშე დარჩენილი ესპანელები ბოლო წამებზე რას დაგვაკლებენო. ხუანფრანმა ისინი დასაჯა და საპასუხო მატჩში საქმე გაურთულა.

შეგახსენებთ, ინტერტოტოს გამარჯვებულები უეფას თასზე ითამაშებენ.

REUTERS ვიგოდან

სელტა — ზენიტი 2:1. ბენი მაკკარტი (მარჯვნივ) და კონსტანტინ ლიპიოხინი

კანი საუკეთესო გერმანელია

ოლივერ კანი

გერმანელ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად, ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელად მიუნხენის „ბაიერნის“ 31 წლის მეკარე ოლივერ კანი აღიარეს. კანმა 295 ხმა დააგროვა და 192-ით გაუსწრო მეორეზე გასულ თანაგუნდელ შტეფან ეფენბერგს.

მესამე, 65 ხმით „ლევერკუზენის“ მცველი იენს ნოვოტნი გახლდათ.

1. ოლივერ კანი (ბაიერნი)	295 ხმა
2. შტეფან ეფენბერგი (ბაიერნი)	103
3. იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი)	65
4. ემერსონი (ლევერკუზენი)	47
ჰანს-იორგ ბუტი (ჰამბურგი)	47
6. იური ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი)	35
7. ლოთარ მათეუსი (ბაიერნი-მეტროსტარზი)	33
მარტინ მაქსი (მიუნხენი)	33
9. სებასტიან დაისლერი (ჰერტა)	29
10. ტომას ჰესლერი (მიუნხენი)	23

ბაიერნი განახევრდა

ბუნდესლიგა კარსაა მომდგარი. პირველი ტური ამ უქმეებზე გაიმართება.

გერმანელები აღიარებენ, საეჭვოა, მიუნხენის „ბაიერნს“ ჩემპიონის ტიტული ვინმემ ჩამოართვასო, თუმცა ოტმარ ჰიცფილდის გუნდს ალბათ არცთუ წარმატებული სტარტი ექნება.

საქმე ის გახლავთ, რომ „ბაიერნს“ ბერლინის „ჰერტასთან“ პირველ მატჩში და კიდევ რამდენიმე ტურში სასტარტო შემადგენლობის ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი არ ეყოლება. მიზეზი ტრავმებია.

ყველაზე სერიოზულად შტეფან ეფენბერგია დაშავებული. მიუნხენელთა კაპიტანს გუშინ აქილევსის მყესზე ოპერაცია გაუკეთეს და ქირურგის თქმით, ფეხბურთს მინიმუმ ორი თვით ჩამოცილდება. ეფენბერგის ოპერაცია მიუნხენშივე ჩატარდა.

ტრავმირებულნი არიან „ბაიერნის“ ბრაზილიელებიც. ჯოვანი ელბერი მოტეხილ ფეხს მკურნალობს და გუნდს სავარაუდოდ ორ კვირაში შეუერთდება, პაულუ სერჟიოს კი მტკივანი ფეხის მოშუშებისთვის ათი დღე სჭირდება. ამდენივე დროში გამოჯანმრთელდება ტომას შტრუნციც.

შტეფან ეფენბერგი

„ჰერტასთან“ მატჩს გამოტოვებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ბიქსენტ ლიზარაზუც. ტრავმის შემდეგ მან ერთი კვირაა, რაც ვარჯიში განახლა, მაგრამ ფორმის სრულად აღდგენა ჯერ ვერ მოასწრო.

სატრანსფერო ბაზარზე ახალი ბოსმანი გამოჩნდა

სატრანსფერო ბაზარი ერთ-ერთი იმ ზვიგენთაგანია, რომელზეც მსოფლიოს ფეხბურთი დგას. თუმცა ზვიგენებს ხანდახან ჩაყვინთვა სჩვევიათ და მაშინ ყველაფერი თავდაყირა დგება. ასე იყო ზუთი წლის წინ, როცა უცნობმა ფეხბუთელმა ბოსმანმა სასამართლო პროცესი მოიგო და კონტრაქტდასრულებულ ფეხბურთელთა კლუბიდან კლუბში უკომპენსაციოდ გადსვლა დაამკვიდრა.

დღეს კი ზვიგენი მორიგი ჩაყვინთვისვის ემზადება, თან უფრო ღრმად, ვიდრე ბოსმანის შემთხვევაში. აქვე ვთქვათ, რომ აურზაურის ამტეხი ფეხბურთელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ ის ახლახან იტალიურ „პერუჯაში“ გადავიდა. პერუჯელთა ბოლოდროინდელი ტრანსფერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მავანი მეამბოხე შესაძლოა „რომას“ ყოფილი მოთამაშე ბლასი იყოს, თუმცა საბოლოოდ დაზუსტებამდე გვარების დასახელებას მოვერიდოთ.

საქმე კი ასეა: მავანი მოთამაშე, რომელსაც თავის კლუბთან კონტრაქტის ვადა ჯერ არ გასვლოდა, თვითნებურად „პერუჯაში“ გადაბარგდა. ამ დროს, როგორც წესი, პერუჯელებს მოთამაშის ყოფილი კლუბისთვის გარკვეული თანხა უნდა გადაეხადათ, ისინი კი უარს აცხადებენ და თან იმუქრებიან, ძალიან თუ შეგვაწუხებთ, სასამართლოში გიჩივლებთო.

ამ თითქოსდა ლოკალურმა შემთხვევამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა და ფიფას მაღალჩინოსნებიც გვარიანად შეაშფოთა. ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის, მიშელ ზენ რუფინენის აზრით, „პერუჯას“ ისტორია მათთვის გამაფრთხილებელი სიგნალია და შესაძლოა, დომინოს პრინციპით მთელი მსოფლიოს კლუბები ჩაითრიოს. „სასამართლოს გარეშე, ალბათ, ვერ გადავრჩებით — ჩივის ზენ რუფინენი — ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ და ჟან მარკ ბოსმანი უნდა გვახსოვდეს“.

„პერუჯას“ გადიდგულების საბაბს ევროპული შრომის კანონმდებლობა აძლევს, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ასეთია: „ყოველ მომსახურეს ნებისმიერ მომენტში სამუშაო ადგილის შეცვლის უფლება აქვს. ამითვის ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა დაუშვებელია“. ფიფას კი ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება აქვს, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელობის სხვა პროფესიებთან გათანაბრება არ შეიძლება, რომ ფეხბურთი საქმიანობის სპეციფიური სფეროა და შესაბამისად, კანონებიც განსხვავებული უნდა ჰქონდეს.

თუ საქმე საბოლოოდ სასამართლომდე მივიდა და „პერუჯამ“ გაიმარჯვა, მსოფლიოს ფეხბურთში უმართავი პროცესი დაიწყება. მაგალითად, ზიდანის, რივალდოს თუ ფიგუს გადასაბირებლად მათ კლუბებთან მოლაპარაკება და მათში უზარმაზარი ფულის გადახდა საჭირო აღარ იქნება. მიდიხარ, ვთქვათ, რივალდოსთან და ეუბნები, გადმოდი ჩემთან და იმაზე მეტ ხელფასს გადაგიხდი, ვიდრე „ბარსელონა“ გიხდიდა. მეორე დღეს კი ოფისში მისული ხუან გასპარი გაიგებს, რომ რივალდოს ჩემოდანი ჩაულაგებია...

გიორგი დარჯანია

...ვარჯიში ეს-ესაა დამთავრდა. თანაგუნდელებმა, თითქმის ყველამ, საბილიარდოს მიაშურეს, თუმცა ქერათმიან ახალგაზრდას არსად ეჩქარება, იგი იქვე, მოედნის კიდესთან, ასევე ქერათმიან, სიმპათიურ ქალიშვილთან საუბრით იქცევს თავს. გოგონამ ძმას ჩააკითხა. უკვე ორი თვეა, რაც მასთან სტუმრობს...

23 წლის ანდრეი შევჩენკო იტალიის ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. „მილანის“ უკრაინელმა ფორვარდმა მომქანცველი სეზონის შემდეგ დამსახურებული შვებულება აიღო და... ლოს ანჯელესი, მონტე კარლო, პორტო რომონდო... მაგრამ ის არ შეცვლილა, ისევ ისეთივე დინამიკური იყო. ახლა ახალი მარათონული სეზონი კარსაა მომდგარი, იტალიის ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ თვენახევარია დარჩენილი. შევჩენკო „მილანთან“ ერთად 1 ოქტომბერს ჩაებმება სკუდეტოსთვის ბრძოლაში. მანამდე კი ჩემპიონთა ლიგის მატჩია. წუხელ „მილანმა“ ხორვატულ ზაგრების „დინამოსთან“ პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა.

შევჩენკომ ტიფოზები ალისასთან გააგზავნა

— ახლაც მახსოვს, იტალიაში პირველად რომ გახლდით. ოჯახთან ერთად სიცილიაზე ვისვენებდი, ჩინებული იყო.

— მერე კი მსოფლიო დონის ფეხბურთელი გახდით...

— ერთი რამ ვიცი, დღევანდელი ფეხბურთი მხოლოდ გიტაცებს, აი, დაახლოებით ათი წლის მანძილზე ერთ დონეზე ითამაშო, საკმაოდ ძნელია. არდადეგები ძირითადად იახტაზე გავატარე, ბევრს ვცურავდი და ვისვენებდი. საკმარისი იყო, ნაპირთან მივსულიყავი, რომ ინსტიქტურად სირბილის სურვილი მიჩნდებოდა და მეც დავრბოდი. ამას წინათ ლეონარდოს ველაპარაკე. მან პირდაპირ მითხრა, არდადეგებზე არასოდეს დამისვენია, ყოველთვის რაღაცით ვიყავი დაკავებული. იცით, ლეოს შეუძლია, ისეთი რამ ჩაიდინოს, რასაც მისგან არ ელი. სერჟინიოს მისი ძლიერ ეშინია.

— ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადეთ, ევროპის ჩემპიონატის უჩემოდ ხილვა ვერ წარმომედგინაო. უყურეთ?

— კი, თითქმის ყველა მატჩი ვნახე. იტალიელების წაგებამ გული დამწყვიტა. მშვენივრად მესმის, რასაც გრძნობდა პაოლო (პაოლო მალდინი — გვ.), სხვებიც. ფინალის დამთავრებამდე რაღა რჩება, გრძნობ უკვე ევროპის ჩემპიონი ხარ, ამ დროს კი ხდება ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. ძნელია. ჩემს კარიერაშიც შემემთხვა ასეთი რამ. გაოგნებული ვიყავი და ვცახცახებდი, გასახდელში სულ იმაზე ვფიქრობდი, სად დავუშვი შეცდომა-მეთქი. არა, ძალიან ძნელია. მე მესმის მათი.

— მოგეწონათ ჩემპიონატი?

— დიახ, განსაკუთრებით ფრანგები, ჰოლანდიელები და პორტუგალიელები. ზიდანის, ანრისა და ფიგუს თამაშით უდიდესი სიამოვნება მივიღე.

— ანდრეი, ახლა „მილანზეც“ ვთქვათ. სილვიო ბერლუსკონის გუნდში სამი სუპერვარსკვლავის — ლუიშ ფიგუს, რივალდოსა და დევიდ ბექემის გადმოყვანა სურდა...

— ვიცი და გულიც მწყდება, ასე რომ არ მოხდა. ფანტასტიკური იქნებოდა, გუნდიც საკმაოდ გაძლიერდებოდა. ვერ გეტყვით, რომ გადმოსულიყვნენ, რამდენად შევეგუებოდით ერთმანეთს, ვფიქრობ, მე არ გამიჭირდებოდა. დღეს ფეხბურთის თამაში მარტო ბურთის გორება არ გახლავთ, იგი მაღალშემოსავლიანი ბიზნესია.

— იტალიურ ტრანსფერებში „ლაციომ“ და „რომამ“ ფუროორი მოახდინეს, დანარჩენები, მათ შორის „მილანი“, უფრო ჩრდილში დგას...

— ცხადია, „ლაციოც“ და „რომაც“ გასულ სეზონთან შედარებით არნახულად გაძლიერდნენ: კრესპო, კლაუდიო ლოპესი, ბატისტუტა, ემერსონი... ამასთანავე, „ლაციოს“ ძლიერი დაცვაც ჰყავს. მაგრამ რატომღაც არავინ ლაპარაკობს „იუვენტუსზე“, მისი ნახევარდაცვა, ჩემი აზრით, მსოფლიოში უძლიერესია.

— „მილანი“?

— ჩვენ გუნდი ვართ, ალბათ, მიმიხვდით, სულისკვეთებას ვგულისხმობ. ეს კი ბევრს ნიშნავს, ვარჯიშებიც საკმაოდ გვიადვილდება.

— ალბერტო ძაკერონი მიიჩნევს, რომ მის გუნდში ყველაზე კარგ ფორმაში თქვენ ხართ.

— ალბათ, ასეცაა და ეს ძალიან მსიამოვნებს.

— „მილანს“ ზაგრების „დინამოსთან“ მატჩამდე გენერალური რეპეტიცია ჩაუფლავდა. მადრიდის „რეალმა“ სათადარიგოებით „სან სიროზე“ 5:1 მოგიგოთ...

— ძალიან გთხოვთ, ყველაფერს მუქ ფერებში ნუ დახატავთ. ცხადია, საწყენია ასეთი ანგარიშით დამარცხება, მაგრამ ეს ხომ საწვრთნელი, რიგითი მატჩი გახლდათ. თაბაც ნახავდით, ალბათ, პირველი ნახევარი ცუდად არ ჩაგვიტარებია, მეორე ტაიმში სათადარიგოებმა ჩვენს გუნდშიაც ითამაშეს. ასე რომ, გასაოგნებელი არაფერია, ვის არ წაუგია.

— მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ „რეალმა“ თავიდანვე სათადარიგოები გამოიყვანა. „სან სიროზე“ ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, რომლებსაც ესპანეთშიც კი არ იცნობენ...

— რაც უნდა მითხრათ, ჩემსას მაინც არ გადავთქვამ — პირველ ტაიმში ღირსეულად გამოვიყურებოდით. რაც შემეხება მე, მეორეში დავიღალე. ერთთვიანმა დაძაბულმა ვარჯიშებმა მაინც თავისი გააკეთა, „რეალთან“ მატჩი პირველი სერიოზული გამოცდა იყო ჩვენთვის.

— მანამდე კი გოლები პანტაპუნტით გაგჭონდათ.

— და არა მარტო მე, თუმცა ეს ხომ ნაკლებმნიშვნელოვანია. გუნდი ემზადებოდა და მეორეხარისხოვან გუნდებთან, აბა, რა იქნებოდა. კაცმა რომ თქვას, ამხანაგურ მატჩს 17:0 რომ მოიგებ, არ უნდა თქვა, აი, ამდენი გავიტანეო.

— მართალია, ზაგრების „დინამო“ „რეალი“ არ გახლავს., მაგრამ არც ისეთია, ორნიშნა ციფრით მოუგო, ანაც თქვა, მას იოლად ვძლევთო...

— მესმის, რასაც გულისხმობთ. ყოფილი იუგოსლავიის კლუბები, გინდ ნაკრები, ყოველთვის უხერხულ მეტოქეებად ითვლებიან. ხორვატები ტექნიკურნი, სულით მებრძოლნი და ამასთანავე უხეშნი არიან. თანაც „დინამომ“ უკვე ორი მატჩი გამართა ეროვნულ ჩემპიონატში, რითაც სათამაშო პრაქტიკა ასე თუ ისე შეიძინა. ასე რომ, იოლ გამარჯვებას არც ველით, თუმცა ვალდებულნი კი ვართ, მოვიგოთ. „მილანს“ არა აქვს უფლება, ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩეს.

— ბევრი რამ ანდრეი შევჩენკოზეც არის დამოკიდებული. შარშან სერია A-ს ბომბარდირი გახდით, ტიფოზებიც სასწაულებს უპირველესად თქვენგან ელიან...

— სასწაულები არ ხდება, ვისაც ამის სჯერა, ჯობს, „ალისა საოცრებების ქვეყანაში“ წაიკითხოს. ყველა წარმატების საწინდარი კოლოსალური სამუშაოა, ამასთანავე ფეხბურთს მხოლოდ ერთი კაცი არ თამაშობს. თუ თანაგუნდელები არ გეხმარებიან, როგორი თავდამსხმელიც არ უნდა იყო, გახდები ბომბარდირი?

— გატყობთ, იტალიურ ენაშიც საკმაოდ გაწაფულხართ...

— ჰო, იტალიელთა შორის ბევრ ჩინებულ ადამიანს დავუახლოვდი, ასე რომ, ენის პრობლემა არ მაწუხებს.

— რამდენადაც ვიცით, როგორც „მილანის“ ფეხბურთელმა პირველი ხელშეკრულება გააფორმეთ, ასეა?

— თქვენ ალბათ ფირმა „ლოტოსთან“ დადებულ სამწლიან კონტრაქტს გულისხმობთ...

— დიახ...

— სანამ „ლოტოს“ დავუკავშირებდი ბედს, მანამდე ერთ-ერთ სარეკლამო კლიპშიც გადამიღეს. გერმანული ფირმაა, რომელიც სპორტულ სახეობებთან საერთოდ არ თანამშრომლობს. კლიპი გერმანიაში სექტემბრიდან გავა ეთერში.

— დაბოლოს, მოახლოებულ სეზონში „მილანს“ ერთბაშად სამ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა: იტალიის ჩემპიონატში, თასზე და ჩემპიონთა ლიგაში. ამასთანავე, უკრაინის ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაერთვება.

— ვისურვებდი, რომ ჩემი ორივე გუნდისთვის სეზონი წარმატებული ყოფილიყოს. მე რაც შემეხება, თავს არ დავზოგავ, ყველაფერს გავიღებ დასახული მიზნის მისაღწევად.

„სპორტ ექსპრესი“-დან თარგმნა
გიორგი ვაშაძიძემ

მილანელები: ჰელვეგი, მალდინი, გულიელმინპიეტრო, ალბერტინი და გატუზო ანდრეი შევჩენკოს (№67) მორიგ გოლს ულოცავენ

ალესანდრო ნესტა (№13) ზინედინ ზიდანს მინდორზე წლეულსაც შეხვდება

მაშ ასე, რომი ფეხბურთის დედაქალაქია

ალესანდრო ნესტა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მცველად ითვლება. ერთობ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, იგი იტალიის ჩემპიონ „ლაციოს"კაპიტანი და „სკუადრა აძურას" ძირითადი მოთამაშეა. ალესანდრო ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ცოტა ხანს ისვენებდა და „ლაციოს" სულ ახლახან დაუბრუნდა. მას გუნდში ახალი ფეხბურთელები დახვდნენ. საინტერესოა, რას ფიქრობს ამაზე და კიდევ სხვა თემებზე კაპიტანი?

— გუნდს სულ ახლახან დაუბრუნდით, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაგხვდათ, „ლაციო" წლეულს მართლაც ძალიან მოძლიერდა. როგორ გგონიათ, გუნდი წინა სეზონზე უკეთ დაკომპლექტდა?

— გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვით. გაზეთები წერენ, რომ ახლა „ლაციო" უფრო ძლიერია, მაგრამ ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება. დღევანდელ ფეხბურთში მხოლოდ შემადგენლობა ბევრს არ ნიშნავს. წინა სეზონში იტალიის ჩემპიონობა და თასი მოვიგეთ, მაგრამ მეტის მიღწევა ძალგვიძს და დასამტკიცებელი კიდევ ბევრი გვაქვს.

— კრესპო, ლოპესი, პერუცი, ბარონიო... ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც „ლაციოს" სიმხნევე და შემართება უნდა შემატონ.

— დიახ, მართლაც ძლიერი მოთამაშეები მოვიდნენ, თუმც მთავარია, რომ გუნდში დიდი ცვლილებები და რევოლუცია არ მოხდა. მათი გადმოსვლით „ლაციოს" თამაშის სტილი არ შეცვლილა. თანაც კლაუდიო ლოპესის გარდა იტალიაში ყველას უთამაშია. მათ „ლაციოს" სტილი მეტ-ნაკლებად იციან. თუმცა ლოპესმაც ითამაშა ჩვენს წინააღმდეგ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში სწორედ მის გუნდს, „ვალენსიას" შევხვდით.

— გუნდში ფორვარდთა მძაფრი კონკურენციაა, რის გამოც მარსელო სალასი თითქოს წასვლას აპირებდა, მაგრამ შემდეგ დარჩენა არჩია...

— მარსელოს გადაწყვეტილებამ გამახარა. კარგია, რომ იგი კვლავ „ლაციოშია". გუნდისთვის ძალიან საჭირო მოთამაშეა, მან ეს არაერთხელ დაამტკიცა. თუმც ამთავითვე ნათელია, რომ ფორვარდებს ძირითადში მოსახვედრად შრომა მოუწევთ.

— წლეულს „ლაციო" ფავორიტად ითვლება...

— ასე იყო შარშანაც, მთელი სეზონი ძლიერად ჩავატარეთ და იტალიური დუბლი შევასრულეთ, თუმც ჩემპიონთა ლიგაში ხელი მოგვეცარა. წლეულს მეტის მიღწევას ვაპირებთ. ჩვენ ისეთი გუნდი გვყავს, ყველაფრის მოგება რომ ხელეწიფება. მოკლედ, ვნახოთ, პოტენციალი გვაქვს. შრომა და მონდომებაა საჭირო და არც ამას დავაკლებთ.

— წლეულს იტალიის ჩემპიონატში მთავარ ოპონენტად ვის თვლით?

— „რომას", მათ რამდენიმე ჩინებული ფეხბურთელი შეიძინეს. მარტო გაბრიელ ბატისტუტა რად ღირს. ჩვენი თანაქალაქელის შემდეგ „იუვენტუსს", „პარმას" და „ინტერსაც" ვახსენებდი. ისე ჩანს, დაძაბული სეზონი გველის.

— ნუთუ, ახლა რომში უფრო ძლიერია ფეხბურთი, ვიდრე მილანში?

— დიახ, ასეა, რომი ახლა საფეხბურთო დედაქალაქიც გახდა.

— ნესტა და ტოტი. ორი რომაული კლუბის ვარსკვლავი...

— მეც და ფრანჩესკო ტოტიც დედაქალაქური გუნდების კაპიტნები ვართ, თანაც ორივენი იტალიის ნაკრებში ვთამაშობთ. რომაული ფეხბურთისთვის ეს სასიკეთოა.

— თქვენს მომავალზე რას იტყვით?

— დღევანდელ ფეხბურთში ძალიან ძნელია, წინასწარ რამე თქვა. ყველაფერი ელვის სისწრაფით იცვლება, ყოველივე ბიზნესს დაექვემდებარა. „ლაციოდან" წასვლა არასდროს დამიგეგმავს. აქ დარჩენა და კლუბში სასარგებლო საქმეების კეთება მსურს. არც სერჯიო კრანიოტი ფიქრობს ჩემს გაყიდვას და ვგონებ, არც გადათქვამს.

თარგმნა ნიკა ფუგლაძემ

ხორვატებმა მილანს შეუტია

გუშინ მილანის ცენტრალურ მოედან „პიაცა დელ დუომოზე", რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად ითვლება, ყოფნა სახიფათო იყო.

ზაგრების „დინამოს" საქომაგოდ ჩაყოლილმა 150-მა ქომაგმა მოედნის შტურმით აღება განიზრახა, ვინძლო „დინამომ" „მილანი" ვერ დაამარცხოს და იტალიელებს ჩხუბში მაინც ვაჯობოთო. საფიქრალია, რომ ხორვატმა ქომაგებმა ეს გეგმა ადრევე მოიფიქრეს, რადგან „პიაცა დელ დუომოზე" გვარიანი შეიარაღებით მივიდნენ, საწვავით სავსე ბოთლები მიიტანეს, რომელსაც ცეცხლის წაკიდებაღა აკლდა. ხულიგანთა დარტყმა მილანის პოლიციამ თავის თავზე მიიღო. ინციდენტის შედეგები უცნობია, თუმცა თვითმხილველთა თქმით, დაჭრილები ბლომად არიან, მათ შორის პოლიციელებიც.

არგენტინა

მე-2 ტური: არგენტინოს ხუნიორსი — ესტუდიანტესი 1:1, რივერ პლეიტი — ველეს სარსფილდი 2:1, ნიუელს ოლდ ბოიზი — სან ლორენსო 1:0, ალმაგრო — ინდეპენდიენტე 1:1, რასინგი — ლოს ანდესი 1:2, ხიმნასია ლა პლატა — ჩაკარიტა ხუნიორსი 2:0, ლანუსი — კოლონი 0:2, ურაკანი — როსარიო სენტრალი 3:1, უნიონი — ბოკა ხუნიორსი 1:2, ტალერესი — ბელგრანო 1:1

ბოკა ხუნიორსი	2	2	0	0	6:1	6
ტალერესი	2	1	1	0	4:1	4
ურაკანი	2	1	1	0	4:2	4
კოლონი	2	1	1	0	3:1	4
რივერ პლეიტი	2	1	1	0	3:2	4
სან ლორენსო	2	1	0	1	3:1	3
ლოს ანდესი	1	1	0	0	2:1	3
ოლდ ბოიზი	1	1	0	0	1:0	3
ველესი	2	1	0	1	2:2	3
ლა პლატა	2	1	0	1	2:3	3
ესტუდიანტესი	2	0	2	0	2:2	2
ალმაგრო	1	0	1	0	1:1	1
ბელგრანო	1	0	1	0	1:1	1
ინდეპენდიენტე	1	0	1	0	1:1	1
უნიონი	2	0	1	1	1:2	1
ჩაკარიტა	2	0	1	1	0:2	1
არგ. ხუნიორსი	2	0	1	1	1:5	1
როსარიო	1	0	0	1	1:3	0
ლანუსი	2	0	0	2	0:3	0
რასინგი	2	0	0	2	1:5	0

წუთში გაქცევეგული და გატაცეგული

ვინი ჯოუნსი აქაც რაღაც ცუდი საქმისთვის ემზადება

ვინი ჯოუნსი ბრიტანეთში მეტად ცნობილი კაცია. ორიოდ წლის წინ იგი ჯერ კიდევ საფეხბურთო მოედნებზე დარბოდა და საშუალოდ ხუთ თამაშში ერთხელ აძევებდნენ. ჩვენც მაგით გვახსოვს — 1995 წლის 7 ივნისს უელსისა და საქართველოს ნაკრებთა შესარჩევ მატჩში ვინიმ მიხეილ ყაველაშვილს მეტად უხერხულ ადგილას წიხლი ჩააზილა და წუთში გასახდელში ამოჰყო თავი.

მიშა ახლა შვეიცარიაშია და ისევ ფეხბურთს თამაშობს. ჯოუნსიც თამაშობს, ოღონდ არა მწვანე მინდვრებზე, არამედ ჰოლივუდის გადასაღებ მოედნებზე. მისი მონაწილეობით ერთი ფილმი, ინგლისური „ფული, ბანქო და ორი ლულა" ამას წინათ კინოთეატრ „რუსთაველშიც" გადიოდა და როგორც ამბობენ, წარმატებითაც. ამ კვირაში კი ევროპის კინოეკრანებზე ამერიკული ფილმის, „60 წამში გატაცებულის" პრემიერაა. მასში ექს-უიმბლდონელი ფეხბურთელის გმირს სფინქსი ჰქვია და მეტად უტყვია. არც ჯოუნსის პარტნიორები — ნიკოლას კეიჯი (მანქანების ყოფილი გამტაცებელი) და ანგელინა ჯოული (ამის ტუჩები უფრო გაბერილია, ვიდრე ჯოუნსის კუნთებიო, წერს პრესა) გამოირჩევიან მეტყველებით, თუმცა ჯაგა-ჯუგი და ბახა-ბუხია ფილმში ოხრად და როგორც ამბობენ, თუ სხვა არაფრით ხართ დაკავებულნი, ერთხელ ნახვა შეიძლება.

გიყიდი, გიყიდი... ზოოპარკს

დედა ვიქტორია, ბაბუა ტონი, თავად ბრუკლინი და აქლემი

გასულ უქმეებზე ბექემი ჰერთფორდშირის ქალაქ ბროქსბურნის „უილდლაიფ პარკს" ეწვია და ჩინებული ორი საათი გაატარა. ძალიან გაუხარდა, როცა კურდღელი წარუდგინეს. მელიისა ოდნავ შეეშინდა, თუმცა, ქათამი არ ვეგონოო, და თავი მაგრად დაიჭირა. მერე ბაბუამ აქლემი გააცნო, რასაც უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა, ბოლოს კი ნაყინი მოითხოვა და თავად ხომ დაითხვარა, დედამისიც იმავ დღეში ჩაადო.

საღამოს მამაც გააკვირვა, როცა ოჯახში ცოტა ხნით შემორბენილს, მეკარე მინდა ვიყოო, უთხრა.

„უილდლაიფ პარკი" ზოოპარკის სახელია. სანამ „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი დევიდ ბექემი საწვრთნელ შეკრებაზეა, მისმა პოშმეუღლე ვიქტორიამ პატარა ბრუკლინი სწორედ ამ ზოოპარკში გაასეირნა. წლისა და ოთხი თვის ბავშვს ისე მოსწონებია იქაურობა, რომ მამას მოახსენა — ზოოპარკის მეკარეობა მინდაო.

როგორც გაზეთი „სანი" ხუმრობს, ფაბიენ ბარტეზს და მის მემკვიდრეებს „მანჩესტერ იუნაიტედში" საფრთხე არ ელით — ბრუკლინის მამა მალე ახალ კონტრაქტს, კვირაში 128 ათას დოლარიანს, მოაწერს ხელს და პატარას ბარემ ერთ პატარა ზოოპარკსაც უყიდის. თავის აქლემით.

არაჩვეულებური ლოთიანი

წარმოიდგინეთ, რომ ხვალიდან თქვენი ხელფასი თვეში 624 ათასი ლარია. ეს კიდევ არაფერი — ხვალვე თქვენ მილიონნახევარ დოლარიან საკუთარ, სამსართულიან სახლში გადაბარგდებით, ავტოფარეხში კი ასიათას დოლარიანი „რენჯ როვერი" დაგხვდებათ. წარმოიდგინეთ? თუ პირველი თავში ის მოგივიდათ, აქ აღარ დამდგომებაო, იმასაც გეტყვით, რომ ეს ყველაფერი თქვენ შორეულ ინგლისში გელოდებათ.

პირობა მხოლოდ ერთია — აღარ უნდა დალიოთ. შევთანხმდით? აბა, აბა, ერთი-ორი ჭიქა და რამე არ იყოს...

ზემოთჩამოთვლილი სიმდიდრის პატრონიც სვამს. ვის არ მოსვლია, მაგრამ ამას ცუდი სიმთვრალე აქვს. მაგალითები გნებავთ? ინებეთ:

მაისში მისი გუნდი ჩემპიონობას აღნიშნავდა. ამან დალია და ორ უცნობ გოგოს ჯერ ლუდი შეასხა (კათხიდან), მერე ჩხუბი აუტეხა. ის ღამე პოლიციაში გაატარა;

გასულ წელს ორი ირლანდიელი გალახა ნასვამმა. გადარჩა — არ უჩივლეს;

იქამდე ერთი თვით ადრე არაფხიზელი ძაღლს ასეირნებდა და როცა მავანმა ქალბატონმა შენიშვნა მისცა, დანა მიუყარა;

1996 წელს ოფიციალურად აუკრძალეს საყვარელ ლუდხანაში შესვლა;

1994 წელს კიდევ ერთმა ლუდხანამ აუკრძალა შესვლა პერსონალის შეურაცხყოფის გამო;

1993 წელს ბარიდან „ვიშიბალებმა" გამოაგდეს — იდგა და გოგოებს ლუდს ასხამდა (პირიდან).

საკმარისია?

ამჟამად მისი გუნდი კუნძულ მალტაზეა, ის კი ჩეშირის ერთ-ერთ კერძო კლინიკაშია. ამ დაწესებულებაში ალკოჰოლისადმი უსაზღვრო სიყვარულისგან არჩენენ.

სამი დღეა, იქ არის. ზის სხვებთან ერთად, უსმენს მავანი ლოთების ზიარებას და თავისასაც ჰყვება. თან, რაც ყველაზე უცნაურია, თავის ვინაობას არ მალავს.

არც ჩვენ დავმალავთ:

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი — ექვსის, ოთხის და წლის. თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედსა" და ირლანდიის ნაკრებში. არის ამ ორივე გუნდის კაპიტანი. ის როი კინია.

შენი პრობლემა მოგვცა: როი კინი და მისი სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ აგენტთა ბაზარი

8 აგვისტო

მინესოტა ტიმბერვულვზი: აიყვანა უკანახაზელი ჩონსი ბილაფსი (ორლანდოდან); შეინარჩუნა ფორვარდი ჯო სმიტი.

ორლანდო მეჯიქი: შეინარჩუნა ცენტრი ჯონ ამაჩი.

იუტა ჯაზი: შეინარჩუნა უკანახაზელი ჯეკი ვონი.

ვანკუვერ გრიზლიზი: აიყვანა უკანახაზელი დეიმონ ჯონსი (დალასიდან).



ჩონსი ბილაფსი (ბურთით)

მინესოტურ ოჯახში ბილაფსს მეგობრები დახვდნენ

„მინესოტა ტიმბერვულვზმა“ სამშაბათს ორი თავისუფალი აგენტი დაისაკუთრა: აიყვანა „ორლანდო მეჯიქის“ ყოფილი უკანახაზელი ჩონსი ბილაფსი და შეინარჩუნა ფორვარდი ჯო სმიტი.

ბილაფსი 23 წლისაა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სამი სეზონი გაუტარებია. „მინესოტა“ მისი მეხუთე გუნდი იქნება, მანამდე კი „ბოსტონ სელტიქსში“, „ტორონტო რეპტორზში“, „დენვერ ნაგითსში“ და „ორლანდო მეჯიქში“ თამაშობდა. მისი კარიერის საშუალო მაჩვენებლები 11,3 ქულა, 3,8 პასი და 2,8 მოხსნა გახლავთ. ბილაფსს ბევრი გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ მან „მინესოტა“ არჩია, რადგან იქ მისი მეგობრები — კევინ გარნეტი, ჯო სმიტი და ტომ ჰემონდსი თამაშობენ. „ამ გუნდში მინდოდა მოსვლა, ყველა მეუბნებოდა, რომ „ტიმბერვულვზში“ ოჯახური სიტუაციაა“ — თქვა ბილაფსმა მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ. პირველ სეზონში კალათბურთელი 2,25 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ტიმბერვულვზის“ ვიცე-პრეზიდენტმა კევინ მაკჰეილმა აღნიშნა, რომ გუნდს ბილაფსის ტიპის მოთამაშე სჭირდებოდა: ახალგაზრდა, სტაბილური, კარგი დრიბლიორი. „მინესოტას“ ბილაფსი „გოლდენ სტეიტ ვორიორზში“ გადასული გამთამაშებლის, ბობი ჯეკსონის შემცვლელად ესახება. ჩონსის ფრთადაც შეუძლია თამაში, „ტიმბერვულვზს“ კი ამ ამპლუაში უჭირს — გაზაფხულზე ავტოკატასტროფაში დაფუპული მალიკ სილის ნაცვლად ჯერ არავინ აუყვანია.

ბილაფსის ერთ-ერთი მეგობარი, ფორვარდი ჯო სმიტი 1995 წლის დრაფტის პირველი ნომერია. მას სუპერვარსკვლავობას უქადდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში საშუალო დონის კალათბურთელად იქცა. სმიტმა კარიერა „გოლდენ სტეიტში“ დაიწყო, „ფილადელფიაში“ გააგრძელა და 1998 წელს „მინესოტაში“ მივიდა. ამჯერად მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც 2,35 მილიონ დოლარს მიიღებს. შარშან სმიტი მატჩში საშუალოდ 9,9 ქულას და 6,2 მოხსნას აკეთებდა.

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



კევინ ჯონსონიც წავიდა



კევინ ჯონსონი

დასრულდა კიდევ ერთი ვარსკვლავური კარიერა. „ფინიქს სანზის“ უკანახაზელი კევინ ჯონსონი ოფიციალურად გამოეთხოვა კალათბურთს და მომავალი სეზონიდან ტელეკომენტატორად იმუშავებს.

ჯონსონს ჯერ კიდევ მარტში სურდა კარიერის დამთავრება, მაგრამ სწორედ მაშინ „ფინიქსს“ ძირითადი გამთამაშებელი ჯეისონ კაიდი დაემტვრა. კლუბმა ჯონსონს თხოვა დახმარება და ვეტერანმაც სასტარტო ხუთეულში დაიკავა ადგილი. კევინმა რეგულარული ჩემპიონატის ექვს და პლეი ოფის ცხრა შეხვედრაში ითამაშა, ხოლო „ფინიქსი“ დასავლეთის კონფერენციის ნახევარფინალში გავიდა.

ჯონსონი 1987 წლის დრაფტში აიყვანა „კლივლენდ კავალიერზმა“. კალათბურთელმა ამ გუნდში მხოლოდ სამი თვე ითამაშა და 1988 წლის 25 თებერვალს „ფინიქს სანზში“ გადავიდა. იქიღან მოყოლებული, ჯონსონი არიზონული კლუბის ერთგულია. 12-წლიან კარიერაში მან 735 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 17,9 ქულა, 9,1 პასი და 3,3 მოხსნა გააკეთა.

ჯონსონის მიერ მატჩში საშუალოდ გაკეთებული 9,1 პასი მეექვსე შედეგია ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში. ამ მაჩვენებლით კევინზე წინ მხოლოდ ჯონ სტოქტონი, მეჯიქ ჯონსონი, ოსკარ რობერტსონი, ჯეისონ კიდი და აიზია ტომასი იმყოფებიან. კევინ ჯონსონმა კარიერაში 6 711 პასი გააკეთა, რაც ლიგის ისტორიაში მეათე შედეგია.

ჯონსონს ერთდროულად დაუგროვდა 11 500 ქულაზე, 6 ათას პასზე, 2 ათას მოხსნაზე და ათას ჩაჭრაზე მეტი. ლიგის ისტორიას მხოლოდ ექვსი ამგვარი მოთამაშე ახსოვს.

ჯონსონმა სამ „ოლ სტარზში“ მიიღო მონაწილეობა. 1994 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. იგი „ფინიქსის“ ყველა დროის მესამე ბომბარდირია 12 747 ქულით.

სამი ყმაწვილი კლიპერსისთვის

დარიუს მაილზი

„ლოს ანჯელეს კლიპერსი“ ჯერჯერობით უმწვრთნელოდაა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა მის დანიშვნას არ ეჩქარება და მოთამაშეებს იმატებს. სამშაბათს „კლიპერსმა“ ერთბაშად სამ ახალბედას გაუფორმა კონტრაქტი. ლოსანჯელესელებმა წლევანდელ დრაფტში სამი კალათბურთელი დაისაკუთრეს და ახლა სამივე გუნდის ოფიციალურ წევრებად აქციეს.

18 წლის ფორვარდი დარიუს მაილზი დრაფტის მესამე ნომერია. იგი სკოლის მერხიდან, უნივერსიტეტის გვერდის ავლით მივიდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მაილზი თავისი მშობლიური ქალაქის, სენტ ლუისის სკოლაში თამაშისას მატჩში საშუალოდ 22,1 ქულას, 12,4 მოხსნას, 7,2 დაფარებას, 3,4 პასს და 2,4 მოხსნას აკეთებდა.

დრაფტის მეათე ნომერი, უკანახაზელი კეიონ დულინგი თავდაპირველად „ორლანდო მეჯიქმა“ აირჩია, მაგრამ მერე „კლიპერსს“ გაუცვალა მოგალი დრაფტის პირველი წრის არჩევნის უფლებაში. დულინგი მისურის უნივერსიტეტში მატჩში საშუალოდ 15,3 ქულას და 3,7 ქულას აკეთებდა.

კვენტინ რიჩარდსონი, დრაფტის მე-18 ნომერი, დე პოლის უნივერსიტეტიდანაა. იგი უკანახაზელია და მისი სტუდენტობის საშუალო მაჩვენებლები 17,9 ქულა და 10,2 მოხსნაა.

სამივე კალათბურთელის კონტრაქტი სამწლიანია. მაილზი ამ ხნის განმავლობაში 7,5 მილიონ დოლარს მიიღებს, დულინგი — 4 მილიონს, ხოლო რიჩარდსონი — 2,6 მილიონს.

მოგეხსენებათ, „კლიპერსი“ ექვსი თვე უმწვრთნელოდაა. კრის ფორდის დათხოვნის შემდეგ მწვრთნელის მოვალეობას დროებით ჯიმ ტოდი ასრულებდა. მაისში „კლიპერსმა“ გამოაცხადა, რომ ახალი მწვრთნელს დანიშნავდა. ამბობენ, ლოსანჯელესელები ცინცინატის უნივერსიტეტის მწვრთნელს ბობ ჰაგინსს ელაპარაკებიან და ოთხწლიანი კონტრაქტით 8 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

შაკილმა და ლეიკერსმა პოლიციას მანქანები შფეშქაშეს

იმ დღეს, როცა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა, გახარებული გულშემატკივრები ლოს ანჯელესის ქუჩებს მოედნენ და გამარჯვების აღნიშვნა გადაწყვიტეს. „ლეიკერსის“ დარბაზის, „სტეიპლზ სენთერიდან“ გამოვარდნილმა ბრბომ გზად პოლიციის ორი საპატრულო მანქანა შენიშნა. გულშემატკივრებმა ისინი ჯერ დაამტვრიეს, მერე კი ცეცხლი წაუკიდეს.

„ლეიკერსის“ ცენტრმა შაკილ ონილმა თავის გულშემატკივრების გაფუჭებული საქმის გამოსწორება ითავა და ლოს ანჯელესის პოლიციას შეპირდა, ერთ მანქანას მე შეგიძენთო. შაკილმა სიტყვა საქმედ აქცია და წესრიგის დამცველებს 42 893 დოლარი გადაურიცხა.

თავის მოთამაშეს არ ჩამორჩა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“. კლუბის ხელმძღვანელობამ იგივე თანხა გადაურიცხა ქალაქის პოლიციას და დასძინა, მეორე მანქანას ჩვენ გიყიდითო.

იმასღა დავსძენთ, რომ იმდღევანდელი არეულობისას, პოლიციის ორი მანქანის გარდა, გადარეულმა გულშემატკივრებმა დაამტვრიეს ლოს ანჯელესის ტელევიზიის ორი მანქანა და დარბაზის სიახლოვეს მდებარე რამდენიმე ოფისის ფანჯრები. თერთმეტი კაცი დაიჭირეს, რომელთაც ადმინისტრაციული და ფინანსური სასჯელი აკმარეს.



შაკილ ონილმა ლოს ანჯელესის პოლიციას ამ დამწვარი მანქანის სანაცვლოდ ახალი შეუძინა

ევროპული ამბები

საფრანგეთი

ვეისს საბერძნეთში გამოწრთობა სურს

„ვანკუვერელებისგან" არანაირი წინადადება არ მიმიღია, ყოველ შემთხვევაში, ჩემს აგენტებს ამის შესახებ არ უცნობებიათ, თუმცა ერთი რამ უეჭველია" — თუ კონტრაქტი განაღდებული არ მექნა, „გრიზლიზში" უბრალოდ გასასინჯად არ ჩავალ და მომავალ სეზონს „მალაგაში" გავატარებ" — განაცხადა გასული სეზონის საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელმა მუსტაფა სონკომ. წესით, კანადელებს 7 აგვისტომდე უნდა ეცნობებინათ ესპანური კლუბისთვის, სონკოს წაყვანა სურდათ თუ არა, მაგრამ „ვანკუვერ გრიზლიზის" ხელმძღვანელები „მალაგას" არ დაკავშირებიან.

კანადელები სონკოს ფინიქსელ აგენტ პაკო ბელასენს ესაუბრნენ და უთხრეს, რომ ჯერ კონტრაქტზე ლაპარაკი ნაადრევი იყო და ფრანგი კალათბურთელი ნბა-ს ჩემპიონატის დაწყებამდე, ოქტომბერში მიიწვიეს სავარჯიშო ბანაკში კიდევ ერთხელ სანახავად. ამაზე სონკოს აზრი კი უკვე მოგახსენეთ, ასე რომ, იგი უეჭველად „მალაგაში" დარჩება, ერთი წლით მაინც.

ახლა კი ზოგიერთ ფრანგულ ტრანსფერზე მოგახსენებთ, რომლებიც სულ ახლახან გაიჩარხა.

„პო ორტეზმა" ამერიკელი გამთამაშებელი კორი კერი შეიძინა. კერი 25 წლისაა (190 სმ, 95 კგ) და შარშანდელი სეზონი ამერიკის ერთ-ერთ ლიგაში (IBL) გაატარა, მანამდე კი ნბა-ში ტონი კუკოჩისა და რონ ჰარპერის მხარდამხარ ერთი წელი „ჩიკაგო ბულზის" ღირსებას იცავდა (64 მატჩი). კორი ტეხასის უნივერსიტეტის აღზრდილია და 1998 წლის დრაფტის მეორე წრეში „ატლანტა ჰოქსმა" აიყვანა. თუმცა ჯორჯიელებმა იგი მყის დაუთმეს ჩიკაგოელებს. კორის გადაბირება „პო ორტეზის" მწვრთნელმა კლოდ ბერჟომ სოლტ ლეიკ სიტიში გამართული საზაფხულო ლიგის დროს მოახერხა. კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია, მაგრამ თუ 15 აგვისტომდე კორის ნბა-ს რომელიმე კლუბი მიიწვევს, პოელებს მაინც მოუწევთ მისი გაშვება. „პო ორტეზში" კიდევ ერთი ახალწვეული ამერიკელია. ჯეისონ ლოუსონი 26 წლის ცენტრია და 210 სანტიმეტრი სიმაღლისაა. ახლა პოელებს ერთი კალათბურთელიღა აკლიათ. ისინი პირეოსის „ოლიმპიაკოსში" წასული სტეფან რიზაშეს შემცვლელს ეძებენ.

ფრედერიკ ვეისი

პრო A-დან პრო B-ში ფინანსური პრობლემების გამო დაქვეითებული „ლიმოჟი" ლამის მთელმა შემადგენლობამ დატოვა. ბონატოს (ვილერბანი), რუპერტის (პარიზი), უილიამსის (პანიონიოსი) და ბრაუნის (ნბა?) შემდეგ სტეფან დიუმა და ფრედერიკ ვეისიც წავიდნენ შარშან საფრანგეთის ჩემპიონატის, ქვეყნისა და კორაჩის თასების მომგები კლუბიდან. პირველი მათგანი გამთამაშებელია და შაბათს ესპანურ ბადალონის „ხუვენტუდთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მეორე კი ცენტრია და თავისი ბედი ბერძნულ „პაოკს" დაუკავშირა. ვეისს თითქოს ნბა-სა და ესპანეთშიც იწვევდნენ, მაგრამ ამერიკისთვის ჯერ მოუმზადებელი ვარო, საბერძნეთშიც კი ესპანეთთან შედარებით ჩემს ამპლუაში უფრო ძლიერი ხალხი თამაშობს, აქ მეტად გამოვიწრთობიო.

რუსული „სპორტ-ექსპრესის" ცნობით კი, მათი ნაკრების უკანახაზელი ზახარ პაშუტინი (196 სმ, 80 კგ) მომავალ სეზონს ფრანგულ „ვილერბანში" დაიწყებს. 26 წლის კალათბურთელი აქამდე თურქულ „ქარშიაქაში" გამოდიოდა და ახლა თურქულსავე „ეფეს პილსენს" „ვილერბანი" ამჯობინა. „ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი ვიფიქრე. არჩევანი საფრანგეთზე იმიტომ შევაჩერე, რომ მხოლოდ ევროტურნირში თამაში არ მინდა, ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობის გარანტია კი „ვილერბანმა" მომცა. ახლა ამ საქმით ჩემი აგენტია დაკავებული. პირადად მე არავის დავლაპარაკებივარ, მაგრამ „ვილერბანისგან" ფაქსით უკვე მივიღე კონტრაქტის ასლი" — თქვა ზახარ პაშუტინმა, რომელიც თურქეთში წასვლამდე ჯერ სანკტ პეტერბურგის „სპარტაკში" თამაშობდა, მერე კი სარატოვის „ავტოდორის" ღირსებას იცავდა.

გაიოზ თალაკვაძე

კანადა სიდნეიში ოთხ პროფესიონალს იახლებს

კანადის კალათბურთის ფედერაციამ დაასახელა ის თორმეტი მოთამაშე, რომელიც ქვეყნის ნაკრების ღირსებას სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე დაიცავს. გუნდში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოთხი მოთამაშეა — „ფილადელფია 76"-ის ცენტრი ტოდ მაკკალოფი, „დალას მავერიქსის" უკანახაზელი სტივ ნეში, „ლოს ანჯელეს ლეივერსის" ფორვარდი რიკ ფოქსი და წლევანდელ დრაფტში „შარლოტ ჰორნეთსის" მიერ არჩეული ცენტრი ჯამალ მალუა. მაკკალოფი. და ნეში ამჟამად რიჩმონდში, კანადის ნაკრების ბაზაზე იმყოფებიან, ბოლო ფოქსი და მალუა იქ ჯერ არ ჩასულან.

კანადის ნაკრები ოლიმპიადაზე ამ შემადგენლობით გაემგზავრება:

უკანა ხაზი: სტივ ნეში (დალას მავერიქსი, აშშ), გრეგ ფრენსისი (თამაშობს ინგლისში), შონ სვორდსი (თამაშობს შვეიცარიაში)

ფორვარდები: რიკ ფოქსი (ლოს ანჯელეს ლეიკერსი, აშშ), როუენ ბარეტი (თამაშობს ვენესუელაში), პიტერ გუარასკი (თამაშობს გერმანიაში), ერიკ ჰინრიხსენი (თამაშობს ბელგიაში), ენდრიუ მეკისი (თამაშობს ინგლისში), მიკელ მიკსი (თამაშობს საფრანგეთში), გრეგ ნიუტონი (თამაშობს ბრაზილიაში).

ცენტრები: ტოდ მაკკალოფი (ფილადელფია 76, აშშ), ჯამალ მალუა (შარლოტ ჰორნეთსი, აშშ).

კანადის ვაჟთა ნაკრებმა ოლიმპიურ თამაშებზე ბოლოს 1988 წელს, სეულში იასპარეზეს.

სტივ ნეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

შვედეთი. მე-15 ტური

10 აგვისტო

001	ჰაკენი-იორებრო	2,3	3,1	2,8

უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები

10 აგვისტო

518	ნეფთჩი (აზერბაიჯანი)-ნოვა გორიცა (სლოვენია)	3,3	3,0	2,1
519	არარატი (სომხეთი)-კოშიცე (სლოვაკეთი)	2,5	3,0	2,5
520	შერიფი (მოლდოვა)-ოლიმპია (სლოვენია)	2,5	3,0	2,5
521	კონსტრუქტორული (მოლდოვა)-ცსკა (ბულგარეთი)	3,4	2,9	2,1
522	ვიტ ჯორჯია (საქართველო)-ბეითარი (ისრაელი)	ანგარიში - 5,0		
523	ჰიკ (ფინეთი)-გრევენმახერი (ლუქსემბურგი)	1,05	9,0	18,0
524	სლავია (ბელარუსი)-მაკაბი (ჰაიფა/ისრაელი)	2,4	3,0	2,7
525	სლოვანი (სლოვაკეთი)-ლოკომოტივი (საქართველო)	ანგარიში - 5,0		
526	უნივერსიტატეა (რუმინეთი)-პობედა (მაკედონია)	1,5	3,6	5,6
527	ეკრანასი (ლიტვა)-ლიერსი (ბელგია)	4,0	3,1	1,8
528	ნარპედაკი (იუგოსლავია)-ტულევიკი (ესტონეთი)	1,25	5,0	9,0
529	ტომორი (ალბანეთი)-აპოელი (კვიპროსი)	2,3	3,1	2,8
530	ჟალგირისი (ლიტვა)-რუხი (პოლონეთი)	2,5	3,0	2,5
531	ვენტსპილსი (ლატვია)-ვაშაში (უნგრეთი)	2,9	3,0	2,3
532	მეტალურგსი (ლატვია)-ბრანი (ნორვეგია)	4,2	3,0	1,8
533	დრნოვიცე (ჩეხეთი)-ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)	1,6	3,3	5,3
534	რაპიდი (ავსტრია)-ტეუტა (ალბანეთი)	1,1	7,0	15,0
535	სლიმა (მალტა)-პარტიზანი (იუგოსლავია)	9,0	5,0	1,25
536	ვორსკლა (უკრაინა)-რაბოტნიჩკი (მაკედონია)	1,5	3,8	5,3
537	აიკ (შვედეთი)-გომელი (ბელარუსი)	1,25	5,0	9,0
538	ომონია (კვიპროსი)-ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)	2,3	3,0	2,9
539	რაპიდი (რუმინეთი)-არაქსი (სომხეთი)	1,15	6,0	12,0
540	ლოზანა (შვეიცარია)-კორკ სიტი (ირლანდია)	1,2	5,6	10,0
541	აკადემისკი (დანია)-ტორსჰაგენი (ფარერები)	1,05	9,0	18,0
542	ამიცა (პოლონეთი)-ვადუცი (ლიხტენშტაინი)	1,05	9,0	18,0
543	ბრიუგე (ბელგია)-ფლორა (ესტონეთი)	1,1	7,0	15,0
544	გოტუ (ფარერები)-ნორჩიოპინგი (შვედეთი)	7,5	4,0	1,35
545	მტკ (უნგრეთი)-იოკერიტი (ფინეთი)	1,5	3,5	6,0
546	ფოლგორი (სან მარინო)-ბაზელი (შვეიცარია)	15,0	7,0	1,05
547	ჟელეზნიჩარი (ბოსნია)-ვისლა (პოლონეთი)	2,4	3,0	2,7
548	ბანგორი (უელსი)-ჰალმსტადი (შვედეთი)	5,3	3,3	1,6
549	კოლრეინი (ჩრდ.ირლანდია)-იორგრიტე (შვედეთი)	4,0	3,1	1,8
550	კონსტელასიო (ანდორა)-რაიო ვალეკანო (ესპანეთი)	15,0	7,0	1,05
551	გლენტორანი (ჩ.ირლანდია)-ლილესტრ. (ნორვეგია)	4,0	3,1	1,9
552	ჟენესი (ლუქსემბურგი)-სელტიკი (შოტლანდია)	12,0	6,0	1,15
553	რიეკა (ხორვატია)-ვალეტა (მალტა)	1,05	9,0	18,0
554	აბერდინი (შოტლანდია)-ბოჰემიანსი (ირლანდია)	1,2	5,6	10,0
555	ვესტმანაეიარი (ისლანდია)-ჰართსი (შოტლანდია)	3,5	3,0	2,0
556	ბოავიშტა (პორტუგალია)-ბერი (უელსი)	1,05	9,0	18,0

ეტაპზე გასვლა

(მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე)

10 აგვისტო

718	ნეფთჩი (აზერბაიჯანი)	-4,0	ნოვა გორიცა (სლოვენია)	-1,05
719	არარატი (სომხეთი)	-4,0	კოშიცე (სლოვაკეთი)	-1,05
720	შერიფი (მოლდოვა)	-4,0	ოლიმპია (სლოვენია)	-1,05
721	კონსტრუქ.(მოლდოვა)	-4,0	ცსკა (ბულგარეთი)	-1,05
723	ჰიკ (ფინეთი)	——	გრევენმახერი (ლუქს.)	-12,0
724	სლავია (ბელარუსი)	-3,1	მაკაბი (ჰაიფა/ისრ.)	-1,2
726	უნივერსიტატეა (რუმ.)	-1,25	პობედა (მაკედონია)	-2,8
727	ეკრანასი (ლიტვა)	-7,5	ლიერსი (ბელგია)	-1,02
728	ნარპედაკი (იუგოსლ.)	-1,03	ტულევიკი (ესტონეთი)	-6,0
729	ტომორი (ალბანეთი)	-3,1	აპოელი (კვიპროსი)	-1,2
730	ჟალგირისი (ლიტვა)	-4,0	რუხი (პოლონეთი)	-1,05
731	ვენტსპილსი (ლატვია)	-4,0	ვაშაში (უნგრეთი)	-1.05
732	მეტალურგსი (ლატვ.)	-5,0	ბრანი (ნორვეგია)	-1,02
733	დრნოვიცე (ჩეხეთი)	-1,4	ბუდუჩნოსტი (იუგოს.)	-2,1
734	რაპიდი (ავსტრია)	-1,01	ტეუტა (ალბანეთი)	-7,5
735	სლიმა (მალტა)	-15,0	პარტიზანი (იუგოსლ.)	——
736	ვორსკლა (უკრაინა)	-1,3	რაბოტნიჩკი (მაკედ.)	-2,5
737	აიკ (შვედეთი)	-1,05	გომელი (ბელარუსი)	-4,0
738	ომონია (კვიპროსი)	-2,1	ნეფტოხიმიკი (ბულგ.)	-1,4
739	რაპიდი (რუმინეთი)	-1,01	აშტარაკი (სომხეთი)	-7,5
740	ლოზანა (შვეიცარია)	-1,02	კორკ სიტი (ირლანდია)	-6,0
741	აკადემისკი (დანია)	——	ტორსჰაგენი (ფარერ.)	-12,0
742	ამიცა (პოლონეთი)	——	ვადუცი (ლიხტენშტ.)	-15,0
743	ბრიუგე (ბელგია)	-1,01	ფლორა (ესტონეთი)	-9,0
744	გოტუ (ფარერები)	-9,0	ნორჩიოპინგი (შვედ.)	-1,01
745	მტკ (უნგრეთი)	-1,25	იოკერიტი (ფინეთი)	-2,5
746	ფოლგორი (სან მარ.)	-15,0	ბაზელი (შვეიცარია)	——
747	ჟელეზნიჩარი (ბოსნია)	-3,5	ვისლა (პოლონეთი)	-1,15
748	ბანგორი (უელსი)	-7,5	ჰალმსტადი (შვედეთი)	-1,02
749	კოლრეინი (ჩრდ.ირლ.)	-6,0	იორგრიტე (შვედეთი)	-1,03
750	კონსტელასიო (ანდ.)	-15,0	რაიო ვალეკანო (ესპ.)	——
751	გლენტორანი (ჩ.ირლ.)	-6,0	ლილესტრ. (ნორვეგია)	-1,03
752	ჟენესი (ლუქსემბურგი)	-12,0	სელტიკი (შოტლანდ.)	——
753	რიეკა (ხორვატია)	——	ვალეტა (მალტა)	-12,0
754	აბერდინი (შოტლანდ.)	-1.05	ბოჰემიანსი (ირლანდ.)	-4,0
755	ვესტმანაეიარი (ისლ.)	-4,0	ჰართსი (შოტლანდია)	-1,05
756	ბოავიშტა (პორტუგ.)	——	ბერი (უელსი)	-12,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროული მრბოლის ნაადრევი სპრინტი

ანდრეი ჩმილი

ესპანეთში მიმდინარე „ბურგოსის ტურის“ მეორე ეტაპი, რომელიც ბურგოსიდან კლუნიამდე მოეწყო, ბელგიელი ანდრეი ჩმილის გამარჯვებით დასრულდა. 37 წლის ვეტერანმა, რომელიც გაბელგიელებამდე რუსეთის, უკრაინისა და მოლდოვას, მანამდე კი სსრკ-ს სახელით გამოდიოდა, სპრინტერებს პირში ჩალა გამოავლო და ეტაპი გამძლეობისა და ამტანობის ხარჯზე მოიგო. შარშანდელი მსოფლიოს თასის მფლობელმა, სპრინტი ერთობ ნაადრევად, ფინიშამდე კილომეტრით ადრე წამოიწყო და მდევრების შემოტევებს ბოლომდეც გაუძლო.

ფინიშის ხაზზე მან იოლად აჯობა ფრანგ პასკალ ერვესა და ავსტრალიელ სკოტ სანდერლენდს, რომლებსაც იგივე დრო ჩაეთვალათ. ჰელოტონმა კი ჩმილთან სამი წამი წააგო. მთავარ ჯგუფში ყველას იტალიელმა დარიო ფრიგომ აჯობა. საერთო ჩათვლის ლიდერმა ალბერტო მარტინესმა მეათე ადგილი დაიკავა და პირველობაც შეინარჩუნა. ისე, საერთო ჩათვლაში ამ სპრინტერულ ეტაპს დიდი ცვლილებები არც მოუხდენია.

ფავორიტთაგან უკეთეს პოზიციაზე შვეიცარიელი ალექს ცულეა, მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვებას არ ნიშნავს, რადგან არც სხვები არიან შორს. ფერნანდო ესკარტინი 26 წამს აგებს, სტეფანო გარძელი — 37-ს, ლენს არმსტრონგი კი 38-ს. კიდევ რამდენიმე სახელიან და ძლიერ მრბოლს აქვს წარმატების შანსი.

თუ რომელი გაიმარჯვებს, ორიოდ დღეში შევიტყობთ.

გაგი გურული

ბურგოსის ტური

მეორე ეტაპი

ბურგოსი — კლუნია, 181 კმ

1. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო) — 4 სთ 13 წთ 14 წმ
2. პასკალ ერვე (საფრანგეთი, პოლტი)
3. სკოტ სანდერლენდი (ავსტრალია, პალმანი) — ორივეს იგივე დრო
4. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) — +3 წმ
5. დეივ ბრუილანდტსი (ბელგია, პალმანი) — +3

საერთო ჩათვლა

1. ალბერტო მარტინესი (ესპანეთი, ესკალტელი) — 4 სთ 22 წთ 20 წმ
2. დარიო ფრიგო — +7
3. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +9
4. ინიგო კუესტა (ესპანეთი, ონსე) — +10
5. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) — +13



ანჟელა ბალახანოვა

ლინცი ანჟელამ გაალამაზა

გუშინწინ ლინცში გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ შვიდი ათასმა კაცმა მაინც გადაწყვიტა, ქალაქის სამძლეოსნო სარბიელზე მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის დიდი პრიზის მორიგი ეტაპი ენახა. ბობოლათა უმრავლესობა იმ ავსტრიულ ქალაქში არ ჩასულა, მაგრამ შეჯიბრი ევროპის რეკორდმა გაალამაზა, რაც ხშირად უფრო მაღალი დონის ტურნირებზეც სანატრელია. უკრაინელმა ანჟელა ბალახანოვამ ჭოკით ხტომაში 4,56 მეტრი დაძლია და სანტიმეტრი წაუმატა გასული წლის ივლისში, პარიზში დამყარებულ თავისსავე რეკორდს. 800 მეტრზე სირბილში მასპინძელი შტეფი გრაფი იყო უბადლო, თუმც მისი შედეგი გასულ კვირას „სტოკჰოლმის დიდ პრიზზე“ ნაჩვენებს საკმაოდ აღემატებოდა. გრაფი 500 მეტრის მანძილზე ჯგუფის სიღრმეში მირბოდა, მხოლოდ მერე აიწყვიტა ღა ყველას გაუსწრო. რაცა მიზეზი ჰკითხეს, სიდნეის ოლიმპიადისთვის ტაქტიკას ვირჩევო, უპასუხა. სხვა შედეგებიდან ამერიკელი ალენ ჯონსონის მიღწევაა გამოსარჩევი, რომელმაც 110-მეტრიანი თარჯრბენი, რა თქმა უნდა, მოიგო და გვარიანი შედეგითაც — 13,15 წამი. საერთოდ ამერიკელებმა სხვა სახეობებშიც მრავლად იმარჯვეს. მაგალითად, დონ ბერელი, 6 მეტრსა და 81 სანტიმეტრზე გადახტა. შედეგი ჩვეულებრივია, მაგრამ საყურადღებო ის გახლავთ, რომ მეორე პოზიციაზე ოდესღაც დიდებული ჰაიკე დრექსლერი ვიხილეთ, რომელსაც ბერელამდე 8 სანტიმეტრი დააკლდა.

დავით გულუა

ალენ ჯონსონი

ავსტრიის დიდი პრიზი

ლინცი. ავსტრია

ქალები

100 მ 1. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) — 11,10 წმ; 2. ტაინა ლარენსე (იამაიკა) — 11,12; 3. მურიამ მანი (კამერუნი) — 11,12

200 მ 1. ბევერლი მაკდონალდი (იამაიკა) — 22,66; 2. ასტია უოლკერი (იამაიკა) — 22,79; 3. იოსა მადუაკა (ბრიტანეთი) — 23,17

100 მ თარჯრბენი. 1. მიშელ ფრიმანი (იამაიკა) — 12,72; 2. მელისა მორისონი (აშშ) — 12,75; 3. ნადინე ფაუსტინი (ჰაიტი) — 13,07

400 მ თარჯრბენი. 1. სანდრა გლოვერი (აშშ) — 54,08; 2. გუდრუნ არნარდოტირი (ისლანდია) — 54,78; 3. ანდრეა ბლეიკეტი (ბარბადოსი) — 54,79

800 მ 1. შტეფი გრაფი (ავსტრია) — 1.59,75 წთ; 2. სანდრა სტელსი (ბელგია) — 2.00,84; 3. ნენსი ლანგატი (კენია) — 2.01,26

სიგრძეზე ხტომა. 1. დაიან ბარელი (აშშ) — 6,81 მ; 2. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) — 6,73; 3. უინგან ჰუანი (ჩინეთი) — 6,70

3000 მ 1. იემანაშუ ტაუი (ეთიოპია) — 8.45,12 წთ; 2. ბერანე ადერე (ეთიოპია) — 8.46,65; 3. ელენა პროკოპჩუკი (ლატვია) — 8.46,97

ბადროს ტყორცნა. 1. ფრანკა დეშლი (გერმანია) — 66,11 მ; 2. ნიკოლეტა გრასუ (რუმინეთი) — 64,52; 3. ოლგა ჩერნასკაია (რუსეთი) — 64,20

სიმაღლეზე ხტომა. 1. მონიკა იაგარ-დინესკუ (რუმინეთი) — 1,94 მ; 2. ვიტა სტეპინა (უკრაინა) — 1,90; 3. იულია ლიახოვა (რუსეთი) — 1,90

ჭოკით ხტომა. 1. ანჟელა ბალახანოვა (უკრაინა) — 4,56 მ (ევრ); 2. დანიელა ბერტოვა (ჩეხეთი) — 4,45; 3. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი)

კაცები

100 მ 1. კობი მილერი (აშშ) — 10,05; 2. აბდულა ჩაკარი (განა) — 10,06; 3. ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) — 10,09

110 მ თარჯრბენი. 1. ალენ ჯონსონი (აშშ) — 13,14; 2. ტერი ტრამელი (აშშ) — 13,22; 3. დომინიკ არნოლდი (აშშ) — 13,27

200 მ 1. ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) — 20,11; 2. დენის მიტჩელი (აშშ) — 20,39; 3. გაბორ დობოში (უნგრეთი) — 20,71

1500 მ 1. პოლ მუანგე (კენია) — 3.34,29 წთ; 2. ბენსონ კოეჩი (კენია) — 3.34,91; 3. ქამალ ბოულაფანე (ალჟირი) — 3.34,92

400 მ 1. ელვინ ჰარისონი (აშშ) — 45,19; 2. ჯერემ იანგი (აშშ) — 45,38; 3. დავინ კლარკი (იამაიკა) — 45,53

ბირთვის კვრა. 1. მიკულას კონოპკა (სლოვაკეთი) — 19,19 მ; 2. გეორგე გუსეტი (რუმინეთი) — 18,64; 3. სერგეი ლიახოვი (რუსეთი) — 18,46

სიგრძეზე ხტომა. 1. კარიმ ტომპსონი (კაიმანის კუნძულები) — 8,26 მ; 2. ივან პედროსო (კუბა) — 8,02; 3. კირილ სასუნოვი (რუსეთი) — 8,00

3000 მ წინაღობებით. 1. გიუნტერ ვაილდლინგერი (ავსტრია) — 8.20,37 წთ; 2. აბრაამ ჩერონო (კენია) — 8.23,82; 3. ლუჩანო დი პარდო (იტალია) — 8.25,56

შუბის ტყორცნა. ერიკ რაგსი (ლატვია) — 80,47; 2. პეტერ ესენვაინი (გერმანია) — 80,20; 3. გრეგორ ჰოეგლერი (ავსტრია) — 79,34

რა უბედური ვარ!

ფრანკ ვანდენბრუკი

ერთი ქართული სიმღერისა არ იყოს, კაცს თუ ბედი თან არ დაჰყვა, ცოდოა. სწორედ ასეა ბელგიელი მრბოლის, ფრანკ ვანდენბრუკის საქმე. წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“ მიატოვა თუ არა, სამი კვირის თავზე საავადმყოფოში მოხვდა. ბელგიურ გაზეთ „Het laatste niews“-ს ცნობით, ვანდენბრუკს დეპრესია მოსძალებია და წონაშიც საგრძნობლად, 7-8 კილოთი დაუკლია, ახლა თურმე სულ რაღაც 54-ს იწონის.

რა ხდება ვანდენბრუკის თავს? მას აქეთ, რაც ბელგიელი ექიმეს ჰოსპიტალის ნეიროფსიქიატრიულ განყოფილებაში მოათავსეს, ეს კითხვა ბევრს აწუხებს. „ტურის“ პირველივე მთიანი ეტაპის გაცდენამ მისი სიძლიერე ეჭვქვეშ დააყენა, რადგან ველოსპორტის უმთავრესი ტურნირის დაწყებამდე იგი თავად აცხადებდა, პოდიუმისთვის ვიბრძოლებო და სპეციალისტთა უმეტესობაც ამავე აზრის იყო. თუმცა ვანდენბრუკს წარუმატებლობა ელოდა და იქიდან მოყოლებული კაცი თვალსა და ხელს შუა დნებოდა.

„ტურის“ გაგრძელებაზე უარის თქმა კი მუხლის არეში მძაფრმა ტკივილმა გამოიწვია, რომელიც, თავად ფრანკის თქმით, ელექტროშოკს ჰგავდა. არადა, მისი ფიზიკური მონაცემების პატრონს ნამდვილად შეუძლია, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლი გახდეს. თუ ვანდენბრუკის ფიზიკური ღირსებები ეჭვს არ იწვევს, სამაგიეროდ, მძიმე ხასიათი ხშირად მასვე ენებს ხოლმე. „სენს-ლაველოს საქმის“ გამო „კოფიდისმა“ ბელგიელს დროებით შეჯიბრებაში გამოსვლა აუკრძალა, იგიც ადგა და კარი გაიჯახუნა, სულ აღარ ვიქნები ამ გუნდის წევრიო. ამით კიდევ უფრო დიდი ხნით მოიკვეთა თავი ტურნირებიდან. „სენს-ლაველოს საქმეშიც“ გრძელი ენის გამო გაერია, თორემ დოპინგთან დაკავშირებულ ამ ამბავში მისი სახელი არავის უხსენებია. არა, ფრანკ ვანდენბრუკს ჩუმად ყოფნა არ შეუძლია, მუდმივად პრესის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. აკი ამიტომაც განაცხადა, ექიმი სენსი მეც მაძლევდა რაღაც წამლებს, რომლებიც ძალას მმატებდნენო. როგორც მერე აღმოჩნდა, ან ფრანკი ცრუობდა, ანაც სენსი მას სხვებისგან განსხვავებით დოპინგით არ ამარაგებდა.

სეზონის დასაწყისში კი თითქოს ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდა. ვანდენბრუკი „კოფიდისში“ დაბრუნდა და მზადებასაც გამალებით შეუდგა. თუმცა აქ უკვე განგების მსახვრალი ხელი მისწვდა. ჯერ პარიზი — ნიცისთვის ემზადებოდა, როცა შინ შეჯიბრის დაწყების წინადღეს დაიმტვრა. ტრავმის მოსარჩენად იგი ორი კვირით აშშ-ში გაემგზავრა და ბევრს ეჭვებიც აღუძრა.

ასეა თუ ისე, იგი ოკეანის გაღმა მოშუშდა და მილან-სან რემოს კლასიკურ რბოლაშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ... თვითმფრინავზე დააგვიანდა. მისი უიღბლობა კი შარშან შემოდგომაზე დაიწყო, როცა ვერონაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მაჯა იტკინა, მაგრამ ტრავმა დამალა და მერე გაუმიზეზდა კიდეც. ერთხელ კი თავის ბავშვობის მეგობარ ნიკო მატანს შეპირებული გამარჯვება არ დაუთმო და იმის მერე წესიერად აღარც კი დალაპარაკებია.

ამდენ გასაჭირს ვანდენბრუკმა ვეღარ გაუძლო. საავადმყოფოში დეპრესიულ მდგომარეობაში მიყვანილი თურმე ხშირად იმეორებდა, რა უბედური ვარო.

იმედია, 25 წლის მრბოლი გამოჯანმრთელდება, რადგან მისი კარიერის დასრულებით ველოსპორტი ნამდვილად ბევრს დაკარგავს. პარიზ-ნიცას, განდი-ვეველგემს, ჰეტ-ვოლკს, ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟს და „ვუელტას“ ორ ეტაპს შემთხვევით ვერავინ იგებს. ფრანკ ვანდენბრუკს ნამდვილად შეუძლია, დიდი მრბოლი გახდეს.

გაიოზ თალაკვაძე

წიგნი ჭორიკა

წერასატანილი ტოზია თანაგუნდელებმა გაწირეს

ცინცინატი, ოჰაიო. „მასტერსი“.
საპრიზო 2 950 000 $

ორშაბათის ნაშუადღევი პიტ სამპრასმა ცნობილი ბეისბოლისტის, კენ გრიფი უმცროსის კომპანიაში გაატარა. „ცინცინატი რედზის“ ვარსკვლავმა ჩოგბურთელი ბეისბოლში წაავარჯიშა, მერე სამპრასმა თავისი საქმეც გაიხსენა და გუშინ მისთვის აქამდე უცნობი მარიანო ზაბალეტას წინააღმდეგ შედგა კორტზე ფეხი. არგენტინელმა „დიდი სლემის“ 13 ტიტულის პატრონს თავიდან დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ პირველი სეტის 4:5-ზე, მოწოდება დაკარგა და გატყდა: მეორე სეტში კი მხოლოდ ორი გეიმი მოიგო. დასკვნით გეიმში ზაბალეტამ პირველ ქულასა და მატჩ-პოინტზე ორმაგი შეცდომები დაუშვა, მაგრამ არ უნერვიულია, წაგებას შეჰგუებოდა. პრესკონფერენციაზე მეტი ყურადღება, ცხადია, სამპრასს ერგო და მანაც ტრადიციული კომენტარებით დაიწყო: მასთან არასოდეს მეთამაშა და ამაში საფრთხის მარცვალი მუდამ არის, პირველი წრის თამაშები საერთოდ ყოველთვის მიჭირდა, ახლა რატომღაც იოლად ვიმარჯვეო... შემდეგ უიმბლდონის ჩემპიონმა ბოლო ხანს ერთობ პოპულარულად ქცეულ თემაზეც, სეტების შემოკლებაზე ისაუბრა. ჩოგბურთის პოპულარობის ასამაღლებლად შობილი აზრი სეტებში გეიმთა ზედა ზღვრისთვის ორი პუნქტის ჩამოჭრას გულისხმობს, სეტის მომგებმა ჩოგბურთელმა ოთხი გეიმი უნდა მოიგოს და მეტოქემ იმაზე ორით მაინც ნაკლები, ანუ დასაშვები ანგარიშები იქნება 4:2 და 5:3 (6:4-ისა და 7:5-ის ნაცვლად), ხოლო ტაი-ბრეიკი 4:4-ზე გათამაშდება. პრაქტიკული სვლებიც გაკეთებულია: ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ორიოდე ტურნირი ახალი ფორმატით ტარდება და მართალია, ისინი „ჩელენჯერის“ კლასისანი არიან, ყურადღებას მაინც იპყრობენ. დისკუსია მსოფლიო ჩოგბურთის მასშტაბებით მიმდინარეობს და საბოლოო სიტყვა სადღაც ორ წელიწადში ითქმება. მოსალოდნელია, ამ ვადის გასვლისას ახალი ფორმატი ATP-ტურებშიც დაინერგოს.

სამპრასის აზრი, ცხადია, ანგარიშგასაწევია, ამიტომ ჟურნალისტებმა იგი ყურადღებით მოისმინეს, თუმცა ამერიკელის ნათქვამი ბუნდოვანი იყო. „ჩოგბურთი ასწლეულების მანძილზე თავისი გზით მოდის — თქვა სამპრასმა — ახლა კი შეცვლას უპირებენ. მე არ ვიცი ახალი პროექტის დეტალები და ისიც მესმის, რომ 50 წლის წინანდელი დრო აღარაა. ხეირიანად ვერც გამირკვევია, ახალ იდეას ვემხრობი, თუ არა. ჩემს პოზიციას შემდგომში უფრო გამოვკვეთ...“ ATP ტურის აღმასრულებელი დირექტორი, მარკ მაილსი კი სიახლით კმაყოფილი ჩანს და „დეილი ტელეგრაფთან“ საუბრისას არც მისი დანერგვის ვადები გადადო უსასრულოდ. ზემოთნახსენები ორი წელიწადი სწორედ მაილსის ინტერვიუში ამოვიკითხეთ.

მონიკა სელეში



პიტ სამპრასი

სამპრასის შემდეგ ცინცინატის კორტს პირველ ნომრად განთესილმა ანდრე აგასიმ მიაკითხა, რომელსაც მეტოქე იმ დღეს ყოველ მიზეზგარეშე უნდა დაემარცხებინა: რვაჯერ ითამაშეს გუშინდლამდე მან და სამხრეთაფრიკელმა უეინ ფერერამ და ამ უკანასკნელმა მარტო ერთი სეტი (!) მოიგო. ტრადიცია წარმატებით გაგრძელდა. პირველ სეტში ბოლომდე გაურკვევლობა იყო, მაგრამ ტაი-ბრეიკზე აგასიმ 7:4 დაინარჩუნა. მეორე სეტში კიდევ ფაქტობრივად ერთი კაცი ჩანდა კორტზე, რასაც მატჩის საბოლოო ანგარიში ადასტურებს: 7:6 (7:4), 6:1. ზედ ამერიკის ღია პირველობის წინ ამგვარი წესიერი გარჯა მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა თავს მოუწონა და იმედიანადაც ისაუბრა. ცოტა ხნის წინანდელი ავარიის შედეგებისგან აგასი საბოლოოდ განკურნებული ჩანს.

კარგად დაიწყეს მარატ საფინმა და ჰარელ ლევიმაც. ტორონტოს ტურნირის მომგებმა რუსმა პირველ წრეში ვინმე სამხრეთაფრიკელი ნევილ გოდუინი დაამარცხა და ფინალისტმა ებრაელმა კიდევ ცოტათი უფრო ცნობილი ენდრიუ ილიე, რომელიც ავსტრალიიდან იყო ჩამოსული. წააგო მეორე ოზმაც. ეს უფრო ცნობილი კაცია, ლეიტონ ჰიუიტი, მაგრამ მეტოქეც არ ჰყოლია წყალწაღებული. ფრანგ ფაბრის სანტორროს ვგულისხმობთ, რომელმაც მეცხრედ განთესილ ჰიუიტს პირველი სეტი დაუთმო და მომდევნო ორი მოუგო — 4:6, 6:4, 6:4. ჰიუიტს ნუგეშად ისღა თუ ექნება, რომ ესპანელი ალექს კორეჩა მეექვსე ნომერი იყო და იმანაც წააგო. ვინ სძლია ესპანელს და რა ანგარიშით, ქვემოთ იხილეთ.

ანდრე აგასი (აშშ,1) — **უეინ ფერერა** (სამხრეთ აფრიკა) — **7:6 (7:4), 6:1; პიტ სამპრასი** (აშშ,2) — **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — **6:4, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი, 5) — **რიჩარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — **6:3, 1:6, 6:3; იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — **6:4, 6:4; მარატ საფინი** (რუსეთი,8) — **ნევილ გოდუინი** (სამხრეთ აფრიკა) — **7:5, 6:3; ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია,9) — **4:6, 6:4, 6:4; ტოდ მარტინი** (აშშ) — **ნიკოლას კიფერი** (გერმანია, 11) — **6:2, 6:2; ტიმ ჰენმანი** (დიდი ბრიტანეთი) — **სესილ მეგიტი** (აშშ) — **6:3, 5:7, 6:2; მარიანო პუერტა** (არგენტინა) — **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) — **6:3, 6:1; ჰარელ ლევი** (ისრაელი) — **ენდრიუ ილიე** (ავსტრალია) — **3:6, 6:3 6:4; ტეილორ დენტი** (აშშ) — **ჯეფ ტარანგო** (აშშ) — **6:4, 3:6, 6:1; მაქს მირნი** (ბელარუსი) — **ანდრეას ვინსიგერა** (შვედეთი) — **7:6 (7:1), 6:4; ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — **ბობ ბრაიანი** (აშშ) — **7:6 (7:4), 6:3; ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — **ლიონელ რუ** (საფრანგეთი) — **6:1, 6:0; მარტინ დამი** (ჩეხეთი) — **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — **7:6, (7:3), 3:6, 6:2; ჯანლუკა პოცი** (იტალია) — **ენდი როდიკი** (აშშ) — **7:6 (7:5), 6:1; ტომას ენკვისტი** (შვედეთი, 7) — **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **7:5, 2:6, 7:6, (9:7).**

მანჰეტენ ბიჩი, კალიფორნია. „ლოს ანჟელეს ოუფენ.“
საპრიზო 535 ათასი $

მონიკა სელეშმა და ნატალი ტოზიამ სხვადასხვა მიზეზთა გამო „ლოს ანჟელეს ოუფენი“ დატოვეს, ამერიკელმა ტრავმის, ხოლო ფრანგმა პირველსავე წრეში სენსაციურად დამარცხების შემდეგ. ჩვენი წერილის მთავარი თემებიც ეს არის.

კარლსბადის ტურნირში ვინუს უილიამსთან ფინალში მარცხის შემდეგ სელეშს მარცხენა ხელი დაუსივდა და ზედ უცნაური ბებერები ამოეზარდა, თუმცა, სპორტსმენის მტკიცებით, პროცესი ჯერ კიდევ სან დიეგოში დაეწყო და ვარჯიშისას ნერვებს უშლიდა. ექიმმა ჩოგბურთელი გასინჯა და გადაწყვიტა, მას ტურნირი ერდა დაეტოვებინა. სელეში შინ, ფლორიდაში წავა და თავს მიხედავს, მაგრამ ამის გამო გული კი დაწყვეტია. მას „ლოს ანჟელეს ოუფენი“ სამჯერ მოუგია და იქაურობა თურმე ძლიერ მოსწონს. ჩოგბურთში დაბრუნების ვადებზე არაფერი თქმულა, თავად სელეშმაც არ იცის, იქით კვირას მონრეალის ტურნირზე გამოვა, თუ არა, ამერიკის ღია პირველობაზე თამაშის იმედი კი აქვს.

ტოზიას კი წაგების წინადღით აწყენინეს. მისი ცნობილი მამხილებელი წიგნის გამო ხომ სხვა ფრანგი ჩოგბურთელები (სანდრინ ტესტიუ, ამელი მორესმო და ჟული ალარი) თავიანთ ფედერაციას აუჯანყდნენ და განუცხადეს, თუ ტოზია ნაკრებში იქნება, ჩვენ სიდნეის ოლიმპიადაზე წამსვლელები არ ვართო. სამიოდე დღის წინ გამოქვეყნებულ საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრების სიაში ტოზიას გვარი არსად გამოჩენილა, ანუ სამეულის კაპრიზი დაკმაყოფილდა და, ახლა თავად ტოზია აბუნტდა. მან ფედერაციას აპელაცია აუხლა და სამართლიანობის აღდგენა ითხოვა: რეიტინგით იგი სამივე მომდურავზე წინაა. აპელაცია არ დაკმაყოფილდა, ხოლო ჩოგბურთის ფრანგმა მამებმა განაცხადეს, წიგნი არაფერ შუაშია, ტოზია ნაკრებში ამჟამინდელი ფორმის გამო ვერ მოხვდაო. ნატალი არ ნებდება, მან ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისგან „უაილდ ქარდი“ ითხოვა და თუ აქაც ამაოდ დაშვრა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ჩივილს აპირებს. მოკლედ, კვანძი ჯერაც გასახსნელია და მანჰეტენ ბიჩში კი სწორედ ამგვარი იყო ფსიქოლოგიური ფონი, რომლის თანხლებითაც ტოზია 17 წლის ჩეხ გოგონას, დაჯა ბედანოვას დაუპირისპირდა. ახალბედამ დედისტოლა ვეტერანს ორ სეტში იოლად 6:3, 6:4 მოუგო, ხოლო პრესკონფერენციაზე ამას თავისი კარიერის უდიდესი გამარჯვება უწოდა. ასეცაა, რეიტინგებით 113-ე ბედანოვა ადრე არასოდეს გამორჩეულა რაიმე წარმატებით.

21 ივლისს ჯვარდაწერილმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ თაფლობის თვეში განცხრომას კორტზე სირბილი არჩია და პირველ წრეში ავსტრიელი ბარბარა შეტი გააცამტვერა 6:4, 6:1, ხოლო „ლოს ანჟელეს ოუფენის“ შარშანდელ მომგებს, სერენა უილიამსს რუმინელი რუქსანდრა დრაგომირი ლუკმადაც არ ეყო — 6:0, 6:1. ჯანიანი სერენა კორტს თავიდან ბოლომდე განაგებდა და საერთოდ არ შესტყობია, ხუთი კვირის უთამაშებელი თუ იყო. ამის მიუხედავად, პრესკონფერენციაზე სერენა მეტად თავმდაბლურად გამოიყურებოდა და მხოლოდ თავისი ნაკლოვანებანი გამოამზეურა. „მე ბევრად უკეთ თამაში შემიძლია — თქვა მან — ხოლო ჩემი მოწოდებების სიმძლავრის შესუსტებამ შემაფიქრიანა კიდეც. ადრე 119-ით ვაწოდებდი (მილი/საათში), დღეს კი 110-მდე ჩამოვედი. ეს ამბავი არ მეჭაშნიკა“. ჩოგბურთის გლობალურ საკითხებს რაც შეეხება, აქ უმცროსი უილიამსი პროგრესის მაღალი ტემპების წარმოჩენას შეეცადა. „მე და ჩემმა დაიკო ვინუსმა — თქვა მან სხვათაშორის — ჩოგბურთი ახალ სიმაღლეზე ავიყვანეთ, მაგრამ სხვა მოწინავე ჩოგბურთელებსაც არა უშავთ. ისინი განუწყვეტლივ ზრდიან თამაშის ხარისხს, შედეგად დღევანდელი ჩოგბურთი სულ სხვაა, ვიდრე ხუთიოდე წლის წინ იყო“. 38-წუთიანმა გამარჯვებამ სერენა, ეტყობა, ოდნავაც ვერ მოქანცა და მან სხვაც ბევრი იქაქანა, მაგრამ საინტერესო და დამაინტრიგებელი არაფერი უთქვამს.

სერენა უილიამსი (აშშ, 5) — **რუქსანდრა დრაგომირი** (რუმინეთი) — **6:0, 6:1; დაჯა ბედანოვა** (ჩეხეთი) — **ნატალი ტოზია** (საფრანგეთი, 6) — **6:3, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (ესპანეთი, 7) — **ბარბარა შეტი** (ავსტრია) — **6:4, 6:1; სანდრინ ტესტიუ** (საფრანგეთი, 8) — **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — **6:2, 6:4; ემი ფრეზერი** (აშშ) — **მარლენ ვაინგარტნერი** (გერმანია) — **7:6 (7:2), 6:2; დომინიკ ვან რუსტი** (ბელგია) — **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — **6:1, 6:2; ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — **მაუი სერნა** (ესპანეთი) — **6:7 (6:8), 6:3, 7:5; ლაიზა რეიმონდი** (აშშ) — **მირიანა ლუჩიჩი** (ხორვატია) — **6:3, 6:3.**

დავით გულუა



ლეიტონ ჰიუიტი



სერენა უილიამსი

ტიმ ჰორანი (ბურთით) ავსტრალიელებსაც დაჟლდებათ და ინგლისელებსაც

ავსტრალიური ლაზარეთი

ჰორანი და ბარკი დასტაქრებს ჩააბარეს

ავსტრალიის ნაკრების სამმეოთხედელი ტიმ ჰორანი, რომელმაც ახლახან ინგლისურ „სარასენსთან“ დადო კონტრაქტი, შეიძლება ინგლისის ჩემპიონატის მესამედს გამოაკლდეს. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ოქტომბრამდე გამოჯანმრთელების არანაირი შანსი არა აქვს. შესაბამისად, იგი ვერც 26 აგვისტოს ითამაშებს სამი ერის პირველობის ბოლო მატჩში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ.

30 წლის ჰორანი, ვინც შარშან მსოფლიოს თასის საუკეთესო მორაგბედ აღიარეს, სავარაუდოდ, ევროპის თასის საწყის მატჩებსაც გამოტოვებს. „სარასენსი“ ევროპის თასის პირველ ტურში 7 ოქტომბერს ფრანგულ „ტულუზს“ ხვდება. „ტიმს ველაპარაკე. ორშაბათს იგი ექიმმა ინახულა და ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა დადასტურა. ოპერაციის თაობაზე გადაწყვეტილებას ამ უქმეებზე მივიღებთ. იგი სამხრეთ აფრიკასთან „ვოლაბებს“ ვერ დაეხმარება. გამოჯანმრთელებას 5-8 კვირა დასჭირდება. ეს მეტად ცუდია ჩვენთვისაც და მისთვისაც“ — განაცხადა „სარასენსის“ მწვრთნელმა, სამხრეთაფრიკელმა ფრანსუა პინარმა. მანვე რამდენიმე დღეში გუნდის ახალი კაპიტანი უნდა დაასახელოს და იქნებ ეს ჰორანიც იყოს.

ავსტრალიელის ერთ-ერთი კონკურენტი ფრანგი ტომა კასტენიედია, რომელიც ჰორანივით წლეულს შეიძინა „სარასენსმა“. ყოფილი კასტრელი ახალ კლუბში პირველ მატჩს დღეს გამართავს „ლენსტერის“ წინააღმდეგ. შეხვედრა ამხანაგურია და გუნდების შემადგენლობების შეთამაშებას უნდა შეუწყოს ხელი. „აქ ვარჯიში უფრო ძნელია, ვიდრე საფრანგეთში. გაცილებით მეტად ვიღლები, მაგრამ თავს არ დავზოგავ, რათა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გავხდე“ — თქვა კასტენიედმა, რომელზეც პინარი დიდ იმედს ამყარებს. „გასულ სეზონში ბევრი ლელო გავუშვით. ახლა მცველად კასტენიედი გვყავს და იმედია, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“ — თქვა პინარმა.

ახლა კი „სარასენსს“ თავი დავანებოთ და კიდევ ერთი „ვოლაბის“ ტრავმის შესახებ ვთქვათ. ავსტრალიის ნაკრებისა და „სიდნეის“ მორაგბე მეტ ბარკი დაახლოებით ორი თვის წინ დაიმტვრა. მას შემდეგ იგი ნელ-ნელა გამოჯანმრთელდა და გასულ შაბათს ახალ ზელანდიასთან თამაშისთვისაც ემზადებოდა, მაგრამ ვარჯიშზე ტრავმამ კვლავ შეახსენა თავი. ექიმების ვერდიქტი მკაცრი გამოდგა — ბარკს მარჯვენა ქუსლის ოპერაცია სჭირდება და „ვოლაბებს“ სეზონის ბოლომდე ველარ დაუბრუნდება. ასე რომ, მას მხოლოდ სამხრეთ აფრიკასთან მატჩის კი არა, შეიძლება ავსტრალიის საფრანგეთში, ინგლისსა და შოტლანდიაში გასამართი ტურნეების გამოტოვებამაც მოუწიოს.

გაიოზ თალაძვაძე

მეჩირალა იაკო ქურციკი გახდა

სამხრეთაფრიკელებმა სამი ერის პირველობის ბოლო ორი მატჩისთვის შერჩეული 22 მორაგბის სია გამოაქვეყნეს. „ქურციკები“ 19 აგვისტოს იოჰანესბურგში ახალ ზელანდიას დახვდებიან, ერთი კვირის შემდეგ, შემადგენლობაში ცვლილებები არ თითქმის მოუხდენია. გუნდში ფან სტრაატენის ყოფნა უხეირო თამაშის შემდეგ კი დურბანში ავსტრალიას უმასპინძლებენ.

ნიკ მალეტს, რომელსაც მთავარი მწვრთნელის პოსტზე წყალი შეუდგა ამდენი წაგების შემდეგ ერთგვარი მოულოდნელობაა. თუმცა იგი, ალბათ, მაინც სათადარიგოთა სკამზე ჯდომით დაკმაყოფილდება, ძირითადში კი სამხრეთაფრიკული რაგბის იმედი იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი ითამაშებს.

სწორედ იგია ერთადერთი ახალი სახელი 22 „ქურციკს“ შორის. ახალგამოცხვარმა „ქურციკმა“ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებში მიწვევით დიდად გაიხარა. „დილის თორმეტის ნახევარზე დამირეკეს და ახალი ამბავი მამცნეს. უეცარი სიხარულისა ბედნიერებისგან ავქვითინდი. მაშინვე დავურეკე ჩემს ახლობლებს და ძალიან ბევრი ვიტირეთ“ — თქვა ცრემლთა დენისგან „დაოსებულმა“ იაკო ფან დერ ვესტჰოიზენმა.

„პრეტორიის“ მორაგბე ამ მიწვევას ნამდვილად არ ელოდა და თავის კლუბთან ერთად ვარჯიშობდა. მისთვის გასული ორშაბათი „ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო დღეა“. და მიუხედავად იმისა, რომ იაკო სრულიადაც არაა დარწმუნებული ახალ ზელანდიასთან თავისიანების გამარჯვებაში, იგი მაინც უზომოდ ბედნიერია. „ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ. საკუთარი ქვეყნისთვის თამაში აბსოლუტურად განსხვავდება კლუბში თამაშისგან. მიხარია, რომ სამხრეთ აფრიკის ღირსების დაცვის საშუალება მომეცა და თავსაც არ დავზოგავ, თუმცა „ოლ ბლექსის“ დამარცხება მაინც ძლიერ გაჭირდება“ — განაცხადა ახალწვეულმა.

იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი 22 წლისაა და თავისი ქვეყნის ნაკრებში აქამდეც უთამაშია, ოღონდ 21 და 23-წლამდელებში. მთავარ გუნდში ის ახალბედაა, მას „ქურციკებში“ რამდენიმე ნაცნობი დახვდება. ჯონ სმიტსა და დე ვეტ ბარის იგი ახალგაზრდული ნაკრებიდან იცნობს, თავის მოგვარე იოსტთან ერთად კი პრეტორიაში თამაშობს. ისე, საინტერესოა, სამხრეთ აფრიკის ფანდერვესტჰოიზენური ნახევარდაცვა როგორ შესახედი იქნება.

ნიკ მალეტს ორი მოგვარის ძირითადში დაყენება თითქმის გადაუწყვეტავს. სხვების შერჩევასა და ტაქტიკის არჩევაშიც არ უნდა მოუვიდეს შეცდომები, თორემ ეგებ მთავარი მწვრთნელობიდანაც გაათავისუფლონ. იქაურ პრესაში უკვე მის შესაძლო შემცვლელებზე საუბრობენ, რომელთა შორის 1995 წლის მსოფლიოს თასის მომგები „ქურციკების“ კაპიტან ფრანსუა პინარსაც ასახელებენ. „მე კონტრაქტის ბოლომდე დავრჩები“ — აცხადებს მალეტი, მაგრამ „ოლ ბლექსთან“ და „ვოლაბებთან“ თუ წააგო, ეგებ ეგ კონტრაქტი თავზეც გადაახიონ გაშმაგებულმა თანამემამულეებმა.

თანამდებობის შენარჩუნებაში კი მალეტს აი, ეს 22 მორაგბე უნდა დეხმაროს: მარკ ენდრიუსი, დე ვეტ ბარი, ვარენ ბროსნიჰანი, ტინუს დელპორტი, იოჰან ერასმუსი, გრანტ ესტერჰოიზენი, რობ კემპსონი, კორნ კრიხე, ოლი ლე რუ, შარლ მარე, პერსი მონტგომერი, ბრეიტონ პოლსე, ჯონ სმიტი, ვერნერ სვონეპოლი, ალბერტ ფან დენ ბერგი, იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენი, იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, ბრაამ ვან სტრაატენი, ანდრე ფენტერი, კობუს ფისახი, ანდრე ფოსი (კაპ.) და ჩესტერ უილიამსი.

გაიოზ თალაძვაძე

3,7 მილიარდი მზმრავ ჯადოსნური ყუთისკენ

Sydney 2000

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვარაუდით, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს 3,7 მილიარდიანი ტელემაყურებელთა აუდიტორია ეყოლება.

მარკეტინგის დირექტორის მაიკლ პეინის თქმით, უდავოა, რომ სიდნეის ოლიმპიადა გადააჭარბებს ატლანტის ანალოგიურ თამაშებს, რომელსაც 3 მილიარდიანი ტელემაყურებელი ჰყავდა.

სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, სიდნეის თამაშებისადმი ყველაზე დიდ ინტერესს იჩენენ იაპონელები, ირლანდიელები, ლიტველები, ფინელები, ჩინელები, ბერძნები და სამხრეთკორეელები, მთლიანობაში კი გარკვეულია, რომ 3,9 მილიარდი ადამიანიდან, რომელსაც ტელევიზორი აქვს, 3,7 აუცილებლად ადევნებს თვალს ოლიმპიადას.

საინტერესოა, რომ სოკ-ი სატელევიზიო უფლებების გაყიდვით დაახლოებით 1,3 მილიარდი დოლარის ამოღებას ფიქრობს, მანამდე კი ევროკავშირი ავსტრალიის მიმართ საწინააღმდეგო ზომების მიღებას აპირებს. ეს მაშინ მოხდება, თუ ევროპული ტელეკომპანიები ოლიმპიური თამაშების გასაშუქებლად სათანადო პირობებს ვერ მიიღებენ.

ავსტრალიელ დიდმოხელეთა განცხადებით, მხოლოდ რვა უცხოურ ტელეკომპანიას ექნება საშუალება ყოველდღიური ტრანსლაციისთვის. ამგვარმა შეზღუდვებმა უკმაყოფილება გამოიწვია ისეთ გიგანტთა შორის, როგორებიცაა „ასოშეიტედ პრეს ტელევიჟენ ნიუსი“ და „როიტერი“.

— ეს სუფთა წყლის დისკრიმინაცია და უფლებების დარღვევაა — განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა ენტონი გუხმა.

თუმცა, მიუხედავად უთანხმოებებისა, იმედოვნებენ, რომ კომპრომისს მოძებნიან.

იყიდეთ, იყიდეთ ჩჟარა, თორემ...

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვის მენეჯერმა ჯონ ონეილმა განაცხადა, რომ 6 აგვისტოდან მოყოლებული ყოველ კვირას ოზებს შინ მიართმევენ შეკვეთილ 144 ათას ბილეთს. თუმცა, ოლიმპიადის ორგანიზატორთა განკარგულებაში კიდევ 2 მილიონზე მეტი საოცნებო ბილეთი რჩება. ჯერ კიდევ გაუყიდავია ტანვარჯიშისა და საწყლოსნო სახეობების ზოგიერთ ასპარეზობაზე დასასწრები ბილეთებიც. ამასთან, გაყიდვაშია კალათბურთის, ბეისბოლის, სოფთბოლის, ბალახის ჰოკეისა და დახურვის ცერემონიალის 9000-მდე ბილეთიც.

საინტერესოა, რომ ბილეთების მინიმალური ფასი 6 დოლარია. სწორედ ამდენის გადახდა მოგიწევთ, თუ თანამედროვე ხუთჭიდელთა ფინალის ნახვა გსურთ, ხოლო 265 დოლამდეა საჭირო იმისთვის, რათა სპორტის ზოგიერთ სახეობაში გადამწყვეტ შეჯიბრებეს დაესწროთ.

ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ბილეთი გაუყიდავი არ დარჩება. ასეთ შემთხვევაში ავსტრალიის ხაზინა 87 მილიონი დოლარით გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ მთლიანად დაბეჭდილია 9 მილიონი ბილეთი, რაც ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური რეკორდია.

ვიღაცას ცეცხლი მოუტაცია

ერთი ორი დამთხვეული რომ ყველგან მოიძებნება, ამას მწვანე კონტინენტზე, მელბურნში მომხდარი შემთხვევაც გვიდასტურებს.

რამდენიმე დღის წინათ სიდნეისკენ მიმავალ ოლიმპიურ ჩირაღდანს მელბურნის ერთ-ერთ ქუჩაში ფათერაკი გადახდა მაყურებელთაგან ვიღაც გადარეული გამოვარდა და მეჩირაღდნე ლინდა კოლკოტს, რომელიც სკოლის მასწავლებელია, ოლიმპიური ცეცხლი წაგლიჯა და მოკურცხლა, მაგრამ რად გინდა, შორს ვერ გაიქცა. ოზი ხულიგანი მაშინვე დააკავეს ავსტრალიელმა სამართალდამცავებმა, ჩირაღდანი კი მის „პატრონს“ დაუბრუნეს.

— ეს უბრალოდ ცუღლუტობაა. შემთხვევა იმდენად სწრაფად და მოულოდნელად განვითარდა, რომ მაყურებელმა ვერც კი გააცნობიერა რა მოხდა — ამბობს პოლიციის თანამშრომელი.

თუმცა, ფიქრობენ, რომ გამტაცებელს ჩირაღდანი არაფრად სჭირდებოდა. უბრალოდ, მას ამით ყურადღების მიქცევა უფრო სურდაო.

და მიიქცია კიდეც.

მაგრამ ზოგჯერ ცუღლუტობას პოლიციის ქვეგანყოფილებაში მიბრძანებაც მოჰყვება ხოლმე. ასეც მოხდა და ალბათ ადმინისტრაციულ. შესაძლოა სისხლის სამართლის საქმეც აღძრან.

გიგა გურასაშვილი

ოლიმპიურ ჩირაღდანს ამიერიდან თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან

ნორვეგია

გადადებული მატჩი
ვიკინგი 4 სტაბეკი

REUTERS ბერლინიდან

ჭიშკარი

ბორის ბეკერი (მარცხნივ) და გერმანიის სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, მანფრედ ფონ რიხტჰოფენი (მარჯვნივ) სხვა პატივცემულ პირებთან ერთად პროგრესულ ნაბიჯს დგამენ: ინტერნეტ-კომპანია „სპორტგეიტის“ (ქართულად „სპორტის ჭიშკარს“ ნიშნავს) პრეზენტაცია მიჰყავთ. ერთი ჭიშკარიც (ბრანდებურგისა) ფოტოს სიღრმეშია ანუ მოქმედება ბერლინში ხდება.

ლუკა, შე ძველო!

ძორწილი იყო? თქვენი მოწონებული. პატარძალი იყო? მზეს ეუბნებოდა, ასე და ისეო, თან სიძეზე ორჯერ უმცროსი. სიძე იყო? უმდიდრესი და ისეთი თანამდებობის... სტუმრები იყვნენ? რაც რომ ცნობილი ვინმეა, ყველა. მათ შორის მიხაელ შუმახერი. საჩუქრები იყო? აბა, ყველას როგორ ჩამოვთვლით, ერთი კი უნდა ვთქვათ: „ფერარი 360 ბარკეტას“ მსოფლიოში ერთადერთი ეგზემპლიარი. გასულ შაბათს „ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო დაქორწინდა.
ცნობისთვის: პატარძალს ლუდოვიკა ჰქვია, სინიორ ლუკა კი სამსახურში... „ფიატით“ დადის.

ტყუილის ეცდელობა

ამ ფოტოს ირგვლივ უწყინარი სიცრუის თქმა გვინდოდა: ვითომ მეჯიქ ჯონსონი და მსოფლიოში ყველაზე მაღალი ქალი უნდა წარგვედგინა მკითხველისთვის, აბა ჯონსონზე მაღალი ქალი კი არა, კაცი ძნელად თუ მოძებნება, მაგრამ ვის მოატყუებ ახლანდელ დროში: მსახიობი სალმა ჰეიეკი ყოველდღე ერთ არხზე მაინც ჩანს და მისი სიმაღლეც რომ მოკრძალებულია, მრავალმა უწყის. რაზე დგას სალმა, არ გვაინტერესებს და პირველი აპრილიც კარგა შორსაა...

REUTERS ბუენოს აირესიდან

სისხლი და ფული

კიკბოქსინგი, იგივე ტაილანდური კრივი ახლა მოედო მთელ მსოფლიოს, თორემ ადრე ერთადერთ ქვეყანაში იცოდნენ (გამოიცანით!) და თავისი პირველქმნილი სახითაც იმ ქვეყანაშია შემორჩენილი. გარდა ამისა, გეტყვით, რომ კიკბოქსინგი სისხლიანი სპორტია (მარჯვენა ფოტოს შეხედეთ) და ფულიანიც (მეორე იხილეთ). ვინმე საეჭაის გამარჯვების საზღაურად მირთმეული 250 დოლარი ორიგინალურად ჩაუბღუჯავს. ფოტოები ბანგკოკის ცენტრალურ სტადიონზეა გადაღებული, ამა წლის 7 აგვისტოს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, კვთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge